საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რომელიც ბოლ-ოვუტი სიფფაა, ფფუილებით და ჭოტებით ბუტ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 22 ივნისი. 2016 წ. №114 (8006), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ПРЕЗИДЕНТИС „ПАСАХЛЕ“

განაწყენებულთა თავშესაფარი,



3

ანუ მუგუზლები ავლაბარში

ჩათლახსა შიგან რაცა დგას...

გვარამია და გაბუნია ერთმანეთს დაერივნენ!

2

ეს იყო შოუ შოუში, მაგრამ აშკარად არა დადგმული, სცენარის მიხედვით წარმართული, არამედ სრულიად ბუნებრივი ასახვა „რუსთავი-2“-ის შიგნით, „ოლიმპზე“ არსებული ძალიან უპატივცემული, უკიდურესობამდე გამწვავებული ურთიერთობისა.

შეწყდეს სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების პოლიტიზება!

განათლების მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავა სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების პოლიტიზებაზე საუბრობს და ამბობს, რომ ამის მცდელობები არის. მინისტრის განმარტებით, ბოლო დროს ერთ სკოლაში ვიდეომასალის ჩვენების და მეორე სკოლაში პოლიტიკური მოღვაწის ჩართვის შემთხვევა იყო. ჯეჯელავას განცხადებით, ეს წინასაარჩევნო პროცესში აბსოლუტურად დაუშვებელი ხერხებია.

განათლების მინისტრი პრემიერის პოლიტიკური ძალების მიმართ განცხადებას გამოეხმაურა და მნიშვნელოვანი ინიციატივა უწოდა.

„გასაგებია, რომ წინასაარჩევნო პირობებია და ბევრი მხრიდან იქნება სურვილი, ჩვენი სკოლა და უმაღლესი სასწავლებლები პროცესში ჩაერთონ. ჩვენ ყველანაირად მოვუწოდებთ და ვცდილობთ, რომ ასე არ მოხდეს. პრემიერის ინიციატივას ცალსახად ვეთანხმებით, რადგან გვგონია ქართველებმა უნდა მოვახერხოთ არჩევნები მიმდინარეობდეს მშვიდად, საერთო ფასეულობებზე დაყრდნობით და არა დისკრედიტაციის ფონზე, მითუმეტეს, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, რა თქმა უნდა, დაუშვებელია“, – აღნიშნა ალექსანდრე ჯეჯელავამ.

რაც შეეხება ქალაქ რუსთავის მე-2 საჯარო სკოლაში ცოტა ხნის წინათ მომხდარ ფაქტს, მინისტრის ინფორმაციით, მოკვლევის შედეგად დადასტურდა, რომ სკოლაში აჩვენეს ეროვნული საოჯახო კონგრესის კადრები, სადაც გამომსვლელის ფონზე 26 მაისის, 7 ნოემბრის, ასევე 9 აპრილის კადრები იყო.

„ჩვენ ფსიქოლოგებთან ერთად ვმუშაობთ, დავადგინოთ ასაკობრივ ჯგუფთან, მე-11 კლასელებისთვის რამდენად დასაშვები იყო მათთვის ამ კადრების ჩვენება და თუ აღმოჩნდა, რომ დასაშვები არ იყო, ამ შემთხვევაში რაღაც ზომებს აუცილებლად მივიღებთ. მე ვფიქრობ, ძალიან ცუდი აზრი იყო, რომ ვიღაცამ გადაწყვიტა სკოლაში ასეთი ვიდეოს ჩვენება. მეორე მხრივ, სამწუხაროდ, მედიაში იმდენ არასწორ რამეს ვაჩვენებთ ბავშვებს, მედიის მოვალეობაც ეს არის – ასახოს რეალობა, შესაბამისად, ამ ბავშვებს ასეთი რამეებიც აქვთ ნანახი და სხვაც. ჩვენ ყველამ ერთად უნდა შევეცადოთ, რომ გავუფრთხილდეთ ჩვენს შვილებს, რათა ისინი ჯანსაღი ფსიქიკის და ფასეულობების მატარებლები იყვნენ“, – განაცხადა ალექსანდრე ჯეჯელავამ.

ნოდარ ჯაფარიშვილი

3

ვანო მერაბიშვილი სიცოცხლის ბოლომდე ციხეში უნდა იჯდეს

22 ივნისის ეძო

კარედი

5

საოჯახო პანთეონიდან

12

სახიფათო მობილურები

ამერიკელმა მეცნიერებმა სენსაციური განცხადება გააკეთეს: ვირთაგვებზე ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგად მათ დასკვნა გამოიტანეს, რომ მობილური ტელეფონის გამოსხივებას კიბოს გამოწვევა შეუძლია.

„მივყვეთ შოთაის მცნებასა“

იქნებ სჯობდეს, ხშირად ვიკითხოთ „ვეფხის-ტყაოსანი!“

5

ფიქრები ბიძინა ივანიშვილის „ღია წერილის“ გამო

ილია მართალი – საქართველოს მომავლის გზის გამკვალავი

4



11

იწყება რაჭა-ლეჩხუმის ტურისტული განვითარება

თინათინ ხიდაშელი „ჰარი ტრუმენზე“ მიიწვიეს

საბერძნეთში, სოუდას ყურეში, კუნძულ კრეტასთან ამერიკულ სამხედრო ავიამზიდზე „ჰარი ტრუმენი“ მაღალი რანგის სტუმრებისთვის სპეციალური მიღება გაიმართა. აშშ-ის საზღვაო ძალების ავიამზიდზე მოწყობილ ღონისძიებებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი თინათინ ხიდაშელი, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი ვახტანგ კაპანაძე და მისი მოადგილე ნიკოლოზ აგლაძე დაესწრნენ. მიღებაზე იმყოფებოდნენ ასევე, საქართველოში აშშ-ის სამხედრო ატაშე, ვიცეპოლკოვნიკი უილიამ ჯ. კონერი, ბულგარეთის თავდაცვის მინისტრი, შტაბის უფროსი, მალტას შინაგან საქმეთა და ეროვნული უსაფრთხოების მინისტრი და სხვა ოფიციალური პირები.

სტუმრებმა ავიამზიდის საგემბანო ავიაცია და მასზე განთავსებული ტექნიკა დაათვალიერეს, გაეცნენ სამხედრო ხომალდის მუშაობის პრინციპს და სპეციალურად მათთვის მოწყობილ ავიაშოუსაც დაესწრნენ.

ღონისძიებების დასასრულს „ჰარი ტრუმენის“ წარმომადგენელმა ქართველ სტუმრებს პარტნიორობისა და თანამშრომლობისთვის სამახსოვრო საჩუქარი გადასცა.

ერთგულება უნდა დაგვიფასდეს

პარლამენტის უმრავლესობის ლიდერ ზვიად კვაჭანტირაძის განცხადებით, თუკი ვართ ერთგულები იმ ამოცანების, რასაც ვისახავთ ჩვენი ქვეყნის და ჩვენი თავის წინაშე — ეს აუცილებლად სასიკეთოდ შემობრუნდება.

ამის შესახებ კვაჭანტირაძემ ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ საქართველოსთვის უვიზო რეჟიმის დაწესების ერთხმად მხარდაჭერის კომენტირებისას ჟურნალისტებს განუცხადა.

„ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ერთხმად დაგვიდასტურეს, რომ ეს პოლიტიკური შეთანხმება და ეს პოლიტიკური გადაწყვეტილება აუცილებლად შესრულდება, რაც არ უნდა ხელოვნური წინააღმდეგობები შეგვექმნას ჩვენ ამ გზაზე. მთავარი მესიჯიც, ალბათ, ეს უნდა იყოს ჩვენთვის, ჩვენი ხალხისთვის და ყველამ უნდა ვიცოდეთ, რომ თუკი შეთანხმებებს ვასრულებთ, თუკი ვართ ერთგულები იმ ამოცანების, რასაც ვისახავთ ჩვენი ქვეყნის და ჩვენი თავის წინაშე — ეს აუცილებლად სასიკეთოდ შემობრუნდება“, — განაცხადა ზვიად კვაჭანტირაძემ.

ნინო ბურჯანაძემ რეგიონის წამყვანი ბეჭდური მედიის წარმომადგენლებს უმასპინძლა

2016 წლის 21 ივნისს „დემოკრატიული მოძრაობის“ თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ კავკასიის რეგიონის წამყვანი ბეჭდური მედიის, ასევე რადიო „თავისუფლების“ რეგიონალური ბიუროების წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართა.

მედიის წარმომადგენლები დაინტერესდნენ ნინო ბურჯანაძის პოზიციითა და ხედვით მსოფლიოში დღეს განვითარებულ, პრაქტიკულად ყველა მოვლენასთან დაკავშირებით. საუბარი შეეხო საქართველოში არსებულ წინასაარჩევნო მდგომარეობას, „დემოკრატიული მოძრაობის“ წინასაარჩევნო პლატფორმასა და პროგრამას, რითიც პარტია უნდა წარდგეს 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე. „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა ფართოდ მიმოიხილა რეგიონში არსებული მდგომარეობა, სტუმრები დაინტერესდნენ საქართველო-რუსეთის ურთიერთობებით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემებითა და მათი მოგვარების გზებით. „დღეს ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის ეს შეხვედრა, წარმოდგენილნი არიან რეგიონის მედიის წარმომადგენლები, მათ აინტერესებთ საქართველოში მიმდინარე მოვლენები ამ მოვლენებთან დაკავშირებით ჩემი და ჩემი თანაპარტიელების პოზიცია და მე მოხარული ვარ, ვუმასპინძლო მათ ჩვენს ოფისში. ბუნებრივია, ჩვენ ვისაუბრეთ ყველა იმ პრობლემურ საკითხზე, რომელიც მნიშვნელოვანია, როგორც არჩევნების წინა პერიოდში, ასევე ქვეყნის მომავალი პოლიტიკური განვითარებისათვის“, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

◎ შოუ შოუში

ჩათლახსა შიგან რაცა დგას...

გვარამია და გაბუნია ერთმანეთს დაერივნენ!

20 ივნისი შავად დაღამდა „რუსთავი-2“-ის ნაციონალურ საახლობლოში.

ამ ტელეარხის ორმა „გიგანტმა“ ნიკა გვარამიამ და გიორგი გაბუნიამ, სოფო ნიჟარაძის შუაში დგომით, ისე გაამხიარულეს „მეგაპროექტის“ „იქს ფაქტორის“ მაყურებელი, რომ ვერავითარი „კომედი შოუ“ და „ვანოს შოუ“ ამას ვერ იქმდნენ, ფხაკაძე და ჯავახიშვილი სულაც დანას რომ დახეოდნენ.

„იქს ფაქტორი“, მოგეხსენებათ, კარგა ხანია, ტელეეკრანზე ჰკიდია დამოკლეს მახვილივით. თანდათან მცირდება, იცხრილება მონაწილეთა რიცხვი და შესაბამისად მატულობს მღელვარება მონაწილეებსა და მათ მენტორებს შორის.

როგორც ვნახეთ, ამ მღელვარებამ ერთიანად გათანგა ჟიური — მენტორთა საკრებულო და გამოკვეთა ორი ფრთა — ნიკასი და გაბუნიასი. ეს ფრთები ერთმანეთს ისე მძლავრად შეასკდნენ, თითქოს ჯახი ქნეს რქისანი. მათი გამაღიზიანებელი მიმართვები, მომღერალთა მიმართ უსამართლობაში ბრალდებები, ერთმანეთისთვის პირში ბურთის ჩაჩრის მცდელობა თუმცაღა გარეგნულად „კორექტულად“ მიმდინარეობდა, მაგრამ, ფაქტობრივად, „შე ჩათლახოდ“ აღიქმებოდა, ყოველგვარი გაზვიადების გარეშე.

სახეზე წამოწითლებული, აპილპილებული „ჩათლახები“ კბილებითა და ფრჩხილებით ებღაუჭებოდნენ თავიანთი პოზიციების ყოველ სანტიმეტრს და ამ დროს მომღერალთა შეფასებისას სულ ფეხებზე ეკიდათ მოჭიდავე აქლემებს შორის გაჭყლეტილი კოზაკების შესაბრალისი მდგომარეობა. საბოლოოდ გაბუნიას ფრთამ მიჯირყნა გვარამიას ფრთა, ამ სამართლიან საქმეში სოფო ნიჟარაძის, ნინა სუბლატისა და დათო ფორჩხიძის მხარდაჭერით.

ნიკა გვარამიამ, რომელიც ისედაც ყურადღებას იქცევდა ახალი, ეგზომ უჩვეულო, ეგზოტიკური ვარცხნილობითა და სახეზე „ზაგარივით“ გადაკრული სიკაპასით, კინაღამ ვენები გადაიხსნა, მაგრამ ბოლოს ისღა მოახერხა, რომ თავის დამარცხებულ პროტეჟე მომღერალს მიშო სულუხიას ჩაეკრა მკერდში და უცრემლოდ აქვითინდა. ჩაეხუტა და მანამდე აღარ გაუშვა, სანამ სულშეგუებებულმა ჭაბუკმა განწირული ფართხალი არ დაიწყო.

ერთი სიტყვით, ეს იყო შოუ შოუში, მაგრამ აშკარად არა დადგმული, სცენარის მიხედვით წარმართული, არამედ სრულიად ბუნებრივი ასახვა „რუსთავი-2“-ის შიგნით, „ოლიმპზე“ არსებული ძალიან უპატივცემულო, უკიდურესობამდე გამწვავებული ურთიერთობისა. და ხვალ სახალხოდ თუნდაც ნეკებჩაკიდებულებმა იარონ „ჩათლახმა“ გვარამიამ და გაბუნიამ, მეხსიერებიდან იმას ვერ წაშლიან, რაც გუშინწინ ტელეეკრანზე ვნახეთ.

გაგიჟდები კაცი: გვარამიამ და გაბუნიამ „იქს ფაქტორიც“ კი შეაძულეს მაყურებელს!!!

სანდრო ალექსიძე

◎ კაკალ გულში

ივლისიდან პენსიონერებს პენსია წნევის მიხედვით მიეცემათ!

● **როდემდე უნდა ვიყოთ სამიტების მარხვაზე, ბლინ! ნაოსკარი ხსნილამდე სოიოს მაპი მაინც მოგვცენ.**

● **— მიშა! ჩამოდი საქართველოში, სირცხვილი ჭამე და ჩადი ისევ.**

— აუ დე, ცოტა ხანიც ვიქნები რა კარავში, ვთამაშობთ.

● **სულ სტრასბურგში რომ ყრიან ჩვენი პარლამენტარები, სხვა საქმე არაფერი აქვთ? დაეტიონ შინ და ბიუჯეტიც დაიზოგება და აღარც უსიამოვნებები შეემთხვევათ-ხოლმე აეროპორტებში.**

● **ეს ჩვენი პრემიერ-მინისტრი, მხოლოდ ბიზნესზე საუბრობს და ზრუნავს — „ბიზნესის ხელის შეწყობის პროგრამა... წამოიწყონ ბიზნესი... აწარმოონ ბიზნესი... განავითარონ ბიზნესი... ბიზნესგარემო... ბიზნესკონფერენცია... ბიზნეს-ასოციაცია... ბიზნესფორუმი... ბიზნესსექტორი... 11 მილიონი... 35 მილიონი...“ — თითქოს ბიზნესის გარდა აღარაფერი ჭირდებოდეს ქვეყანას.**

სახელმწიფოა თუ ქარვასლაა, „იბიარდ!“

ვისი ხათრითაც ეს ხდება, ის კაცი რომ, ვთქვათ, მსახიობი იყოს, მაშინ რაზე ვილაპარაკებდით და ვიზრუნებდით?!

● **თანამედროვე ფოლკლორი:**

ერთი შვილ ხომ მაინც გავზარდე, გეებთან მეომარია....

იქნება გეის დედაი ჩემებრ დღედაღამ ტირისა.

● **იბერიის გაბრწყინება 2.**

ჩვენ ესპანეთს მოვუგეთ 1:0; შესაბამისად — თურქეთს 4:0 და ვისთანაც ესპანეთი მოიგებს, იმათთან მოგებული ვართ ორთავე იბერია, დავითხოვოთ ახლა კავკასიის იბერიის ნაკრები, რაღაში გვჭირდება ორი, აწი მთავარია, პირინეულ-იბერიულმა ნაკრებმა არ წააგოს და თუ მოიგო, გაბრწყინდება ჩვენი იბერიაც თანაბრად!!!

● **საარჩევნო დაპირება:**

პენსიონერებს პენსია მიეცემათ წნევის მიხედვით!!!

● **პაატა ბურჭულაძემ პაატა ბურჭულაძის პარტია დატოვა, ეგ სოპრანოს პარტიაა და მე ბანი ვარო!!!**

ამოკრიბა

გია გაბრიჭიძემ

კეთილმოწყობილი ახალი გზა ზემო იმერეთში

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა ჯუანშერ ბურჭულაძემ, საჩხერის მუნიციპალიტეტის 6 სოფლის დამაკავშირებელი 7 კმ-იანი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა.

პროექტის ფარგლებში მოეწყობა ასფალტ-ბეტონის გზის საფარი, ბეტონის კიუვეტები, ბორდიურები და წყალამრიდი ლითონის მილები. გარდა ამისა, უსაფრთხოების მიზნით, გათვალისწინებულია საგზაო ნიშნების მონტაჟი. პროექტი ევროპის საინვესტიციო ბანკის დაფინანსებით ხორციელდება და მისი ღირებულება 3 499 000 ლარია.

არსებული გზა იმდენად იყო დაზიანებული, რომ მასზე გადაადგილება შეუძლებელი იყო. რეაბილიტაციის შემდეგ საირხის, გორისას, მოძვის, ჯალაურთას, ქორეთის და ჭორვილას მოსახლეობა გადაადგილებას უსაფრთხოდ და კომფორტულად შეძლებს.

პროექტზე 60 ადამიანია დასაქმებული, რომელთა უმრავლესობა ადგილობრივი მოსახლეა.

„ერთიანი აგროპროექტი“ სოფელს თვალში გამოახედებს!

კომუნიკაციის გაზრდის, მოსარგებლეთათვის საჭირო პროექტების ამოცნობის გამარტივებისა და ერთიანი სტრატეგიის წარმოჩენის მიზნით, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები ერთი ქუდის ქვეშ ერთიანდება – „ერთიანი აგროპროექტის“ პრეზენტაციას საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი დაესწრო.

პრემიერ-მინისტრმა იმედი გამოთქვა, რომ მასშტაბური პროექტი მთავრობის მუშაობას უფრო ეფექტიანს გახდის და ხალხს მეტ სიკეთეს მოუტანს. მისი თქმით, სოფლებში ჯერ კიდევ ბევრი პრობლემაა გადასაჭრელი, რასაც ხელისუფლება ეტაპობრივად მოაგვარებს. გიორგი კვირიკაშვილი დარწმუნებულია, რომ საქართველოში წარმოებული მაღალი ხარისხის პროდუქტი სულ მალე საკუთარ ადგილს დაიმკვიდრებს ევროპისა თუ სხვა საერთაშორისო ბაზრებზე.

– უკვე თითქმის 4 წელია, ვახორციელებთ არაერთ მნიშვნელოვან პროექტს, რომლებმაც უკვე გამოიღო თავისი კონკრეტული შედეგები. ეს პროექტები მუდმივად იხვეწება, სულ უფრო ფართოვდება და ემატება ახალი მიმართულებები. ჩვენი მიზანია, ხელი შევუწყოთ ჩვენი გლეხების, ფერმერების საქმიანობას, როგორც პირველად წარმოებაში, ასევე მოსავლის გადამუშავებასა და რეალიზებაში, ხელი შევუწყოთ ახალი წარმოებების და საწარმოების გაჩენას, ადგილობრივი წარმოების განვითარებას, ექსპორტის გაზრდას. ხოლო, ეს ყველაფერი ერთად არის სოფლად ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მყარი გარანტია, – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიცირებით, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო ახორციელებს არაერთ მასშტაბურ პროექტს, რომელთა მიზანიც ახალი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების შექმნის ხელშეწყობაა. განხორციელებული პროექტების ფარგლებში, დაფინანსებულია 150 ახალი საწარმო და გაფართოებულია – 700 საწარმო. 2013 წლიდან, ყოველწლიურად დახმარებას იღებს 700 000-ზე მეტი ფერმერი და ყოველწლიურად მუშავდება 200 ათას ჰექტარზე მეტი მიწა. მოხდა აგრარული დარგის განვითარების სტიმულირება, განვითარდა სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურა, გაიზარდა პირველადი და გადამამუშავებელი, ექსპორტზე ორიენტირებული პროდუქციის წარმოება, დასაქმდა ათასობით ადამიანი.

მერაბიშვილის საკნიდან შესაძლო გაყვანის ფაქტზე პროკურატურამ გამოძიება დაიწყო

საქართველოს მთავარ პროკურატურაში აცხადებენ, რომ გამოძიება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილების საფუძველზე, ცალკეულ საჯარო მოხელეთა მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტზე დაიწყო, რაც სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით არის გათვალისწინებული.

ყოფილი პრემიერ-მინისტრი და შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ვანო მერაბიშვილი აცხადებს, რომ იგი საკნიდან მაშინდელი მთავარი პროკურორის ოთარ ფარცხალაძის დავალებით გაიყვანეს და სხვადასხვა გახმაურებულ საქმეებზე ჩვენების მიცემას აიძულებდნენ. ყოფილი პრემიერის ადვოკატის ოთარ კახიძის განცხადებით, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების მთავარი მოტივი ვანო მერაბიშვილის ციხიდან გაყვანის ფაქტი გახდა, რომელზეც გამოძიება ამ დრომდე არ იყო ჩატარებული. მთავარი პროკურატურა ყოფილ მთავარ პროკურორს და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ყოფილ თავმჯდომარეს დაკითხავს. ოთარ ფარცხალაძე და დიმიტრი დარბაისელი ვანო მერაბიშვილის საკნიდან გაყვანის საქმეზე დაწყებული გამოძიების ფარგლებში დაიკითხებიან. მათ გარდა მოხდება ყველა იმ პირის დაკითხვა, ვისაც საქმეზე შეხება აქვს. დაიკითხება ვანო მერაბიშვილიც.

„ვანო მერაბიშვილი სიცოცხლის ბოლომდე ციხეში უნდა იჯდეს“

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი **ნოდარ ჯავახიშვილი** მიიჩნევს, რომ არა მარტო შს ყოფილი მინისტრი ვანო მერაბიშვილი, არამედ „სხვა მისი ძმა და მეგობრები“ უნდა ისხდნენ ციხეში.

„ვანო მერაბიშვილი სიცოცხლის ბოლომდე ციხეში უნდა იჯდეს. ყოველთვის შეიძლება რაღაცა რაღაცას დაემთხვეს. მერაბიშვილი ციხეში იჯდება თუ არა, ეს არც არაფორმალურ მმართველობაზე მიუთითებს და არც ადამიანის უფლებების დარღვევაზე. ვანო მერაბიშვილი გარეთ როცა იყო, მაშინ იყო ადამიანის უფლებები დარღვეული ყველასი მთელ საქართველოში. არა მარტო ვანო მერაბიშვილი, არამედ მთელი მისი სამეგობრო უნდა იჯდეს ციხეში“, – აღნიშნა მინისტრმა.

◎ პრეზიდენტის „სასახლე“

განაწყენებულთა თავშესაფარი, ანუ მუგუზლები ავლაბარში

მეოცე საუკუნის დასაწყისში საქართველოს ბედის ჩარხი კიდევ ერთხელ უკუღმა რომ არ დატრიალებულიყო, ვინ იცის, პრეზიდენტად თვით ილია მოგვვლენოდა. კი, ეს ნამდვილად იყო რეალური შანსი, რომელიც სამშობლოს ბოლშევიკმა შვილებმა დაუკარგეს.

„წიწამურში რომ მოკლეს ილია, მაშინ ეპოქა გათავდა დიდი“ – ამას გალაკტიონი მოგვიანებით დაწერს, ხოლო აკაკი უმალვე გოდებას დაიწყებს: „ნუთუ მართლა დღეს გადაწყდა საქართველოს ბედისწერა?!“

ვაი, რომ გადაწყდა!

ერი, რომელიც ერთდროულად სამ ანტიქრისტეს შობს(მეოთხეს კიდევ – მოგვიანებით), აუცილებლად დაისჯება.

დავისაჯეთ კიდეც!

მაგრამ ღმერთი მაღალია და იმავე საუკუნის ბოლოს კიდევ ერთ შანსს მოგვცემს, მაგრამ იმასაც ვერ გამოვიყენებთ და უფლისგან ხელდასხმულ პირველ პრეზიდენტს, სამშობლოსათვის თავგანწირულს, სამშობლოდან განვდევნით, შემდეგ, დაბრუნებულს, ტყე - ტყე დავუწყებთ დევნას და, მეოთხე ანტიქრისტეს ბრძანებით, დაუნდობლად მოვკლავთ.

საუკუნის დასაწყისში ერის უგვირგვინო მეფეს გავწირავთ, საუკუნის დასასრულს კი – პირველ პრეზიდენტს.

სამაგიეროდ, ხანგრძლივად მოვითმენთ მეორე და მესამე პრეზიდენტებს და საქმე ისე გაგვიხდება, რომ მეოთხე პრეზიდენტის გამო სალომე ზურაბიშვილი ლამის მუხლებში ჩაგვივარდება – კი, უვარგისია, მაგრამ რაკი ავირჩიეთ, მოვითმინოთ კიდეცო.

არადა, როგორი მოსათმენია პრეზიდენტი, რომლის ერთადერთი საქმე და საზრუნავი მთავრობისთვის ნერვების მოშლაა.

იმ დროს, როცა პრემიერ - მინისტრი გერმანიის კანცლერს ხვდება, ეს გიგა ბოკერიასთან თათბირობს და შემდეგ, ქალის „იუბკას“ ამოფარებული, სრულიად აღმაშფოთებელ განცხადებას ავრცელებს. „იუბკა“ აქ პირობითია, რადგან მისი პრესსპიკერი ბრიფინგზე (უკვე ბრიფინგებსაც გვიმართავს?!) შარვლით წარსდგა. დიახ, დიახ, ეკა მიშველაძეს ვგულისხმობ – მთავრობისგან „დევნილსა“ და პრეზიდენტისგან შეფარებულს... ე. წ. ავლაბრის რეზიდენცია ხომ კარგა ხანია, „განაწყენებულთა თავშესაფრად“ იქცა. მალე იმდენი დაგროვდება, რომ ვეღარც კი ვიკითხავთ, ამ უმაქნის, უუფლებო და უსაქმო პრეზიდენტს ამოდენა სასახლე რაში სჭირდებაო.

რაში სჭირდება და ნაცების, „ენჯეოელების“, განაწყენებული პოლიტიკოსებისა და ჟურნალისტების შესაგროვებლად, რომ მერე (ფუი ეშმაკს!) ისევ თავიანთ პრეზიდენტად აირჩიონ – აკი განაცხადა ცოლისდაგალანძღულმა ალასანიამ, ჩემი პარტია მომავალ არჩევნებში ისევ მის კანდიდატურას წამოაყენებსო (?!).

რატომაც არა! – საკუთარი რომ წამოაყენოს, მაინც არაფერი გამოვა და რაღა დარჩენია, მარგველაშვილის წამოყენების გარდა.

მანამდე არ აგიდგეთ გვერდებიო, - დაუწერა ერთმა სოციალურ ქსელში.

ბევრს, ალბათ, არ დაუწერია, მაგრამ იგივე გაიფიქრა...

მოკლედ, პრეზიდენტის სასახლე თანდათან ემსგავსება **ნაც(იონალ)ურ** ბუნაგს.

ფიქრია ჩიხრაძეც ხომ იქ ბრძანდება – ჯერ მრჩევლად, ახლა კი პოლიტიკურ მდივნად მოვლინებული. მიკვირს და არც მიკვირს, ანდა რატომ უნდა მიკვირდეს იმისგან, ვინც თავის დროზე, შევარდნაძის ნდობით აღჭურვილ პირად ყოფნა არ ითაკილა, „მემარჯვენეობით“ ვერაფერს გახდა და ხელმოცარულ პოლიტიკოსობას ისევ პრეზიდენტის ამალაში ყოფნა ამჯობინა. დაე, ლანძღონ, მთავარია, კარგად იცხოვროს. არადა, რა პედაგოგი დაკარგა ჩვენმა სკოლამ?! ხშირად ვფიქრობ უკეთილშობილეს და უნიჭიერეს მის თანაჯგუფელზე, რომელიც მშობლიურ სოფელში წავიდა და მასწავლებლობით თავი ძლივს გააქვს, სამაგიეროდ, მომავალ თაობას მამულის, ენისა და სარწმუნოების სიყვარულს უნერგავს. ეს კი აქ მარგველაშვილის ამაო დაცვითაა დაკავებული...

ამბობენ, პრეზიდენტის სასახლეს ვანო მაჭავარიანიც უბრუნდებაო – პაატა ბურჭულაძესაც ეყოლება იქ თავისი დესანტი(?!).

ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალი აკლდა და ისიც მიემატაო!

თუმცა, უნდა ვივარაუდოთ, მუგუზალი კვლავაც ბევრი იქნება!

„ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა“, ავლაბარში მუგუზლები?!

იოსეგ ჟუმბურიძე

„თავისუფალი დემოკრატები“ თავს წინასწარ იზღვევენ

პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ ცნობით, უახლოეს დღეებში სამეგრელოს რეგიონში პარტია წარადგენს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებს. შესაბამისად, ყველა რაიონში მიმდინარეობს საარჩევნო შტაბების ჩამოყალიბება და პარტიული ორგანიზაციების ახალი წევრებით შევსების პროცესი.

„ხელისუფლების მხრიდან პროვოკაციის გზით მუდმივად არის მცდელობა, ხელი შეეშალოს „თავისუფალი დემოკრატების“ მუშაობას. „თავისუფალი დემოკრატები“ მოვუწოდებთ ხელისუფლებას, იყოს საკუთარი განცხადებების ერთგული, ვგულისხმობთ თავისუფალი არჩევნების დემოკრატიულ, სამართლიან გარემოში ჩატარების ქცევის კოდექსის შესახებ მოწოდებას პრემიერის მხრიდან. მთავრობის ხელმძღვანელის ამ მოწოდების ფონზე ოპონენტების წინააღმდეგ უკადრისი მეთოდებით ბრძოლა სულ მცირე არაეთიკურია და აზიანებს საარჩევნო პროცესს“, – ნათქვამია პარტიის განცხადებაში.

ილია მართალი – საქართველოს მომავლის გზის გამკვალავი

ფიქრები ბიძინა ივანიშვილის „ღია წერილის“ გამო

ბატონ ბიძინა ივანიშვილის „ღია წერილი“ იმდენად მასშტაბურია, რომ მას ასეთივე ანალიზი სჭირდება, მაგრამ მასში ნახავთ მომავლის ისეთ სტრატეგიულ გააზრებასაც, რასაც საგანგებო აღნიშვნა უნდა. ეროვნულ ბიბლიოთეკასთან არსებულ „ილია ჭავჭავაძის კაბინეტში“ ვიმსჯელეთ ამაზე და ჩვენი გამოხმაურებაც ამ განსჯის შედეგია. ვფიქრობთ, რომ ეს წაადგება ქვეყნის საერთო საქმეს, რისთვისაც გვაქვს რამდენიმე წინადადება.

თეორიულად ამ 25 წლის მანძილზე სამომავლო განვითარებაზე ბევრი თქმულა, მაგრამ პრაქტიკულ პოლიტიკაში არ მახსენდება ისეთი პოლიტიკური ძალა, რომელსაც ქვეყნის განვითარების 10-5-წლიანი სტრატეგია დაესახა. „ღია წერილის“ ეს სამი მონაკვეთი – „საით მივდივართ“, „როგორ სახელმწიფოს ვაშენებთ“ და „რა მიზანი მაქვს“, გამონაკლისია ამ მხრივ.

მაგრამ ესეც გასარკვევია – რა საშუალებებით ვაპირებთ საქართველოს „განვითარებული ევროპული ქვეყნების“ რიგებში ჩართვას – სტრატეგიის შემდეგ მისი განხორციელების დილემა დგება...

ამ დილემას ილია ჭავჭავაძის გარეშე ვერ გადავჭრით: მემკვიდრეობითობა უნივერსალური კანონია და მისი „საერთო ნიადაგის“ თეორია ორგანულად ეხმიანება ამას.

„იდეა განუხორციელებელი საქმეა, საქმე კი განხორციელებული იდეა“ – უყვარდა ამ დიალექტიკურ მთლიანობაზე ხაზგასმა ილიას... ჯერ კიდევ ვაჟა ფშაველამ განსაზღვრა ილიას – **„ჩვენი დიდი ეროვნული იდეოლოგის“** – ადგილი საქართველოს მომავალ ისტორიაში („ვერ მოჰკლეს!“, „სიტყვა ილია ჭავჭავაძის ცხედარზე“, „ყვავ-ყორნები ილიას აჩრდილის გარშემო“...). მისი მეცნიერული ანალიზი კი, ივანე ჯავახიშვილმა მოგვცა: 1938 წელს მან ანდერძად დაგვიტოვა ეს ბრწყინვალე გამოკვლევა – **„ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“.**

„საქართველოს მომავლის გზამკვლევი“ – ასეთია მისი გზავნილი ჩვენთვის. ბ-ნ ივანეს ჩაფიქრებული ჰქონდა მთელი ციკლი გამოკვლევებისა ამ მიმართებით, მაგრამ შერყეულმა ჯანმრთელობამ არ მისცა ამის საშუალება, თუმცა, რაც მას აქ დასკვნები აქვს, სწორედ რომ ზემოაღნიშნული დილემის გადაწყვეტას ეხმიანება...

ნაშრომი ძირითადად აგებულია ილიას სტატიების – „აი, ისტორია“ და „ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ“, ანალიზზე. პირველი ეძღვნება ე.წ. „ერის დაბერების თეორიას“, რასაც ილია ჩვეული სარკაზმით და უტყუარი არგუმენტებით აკრიტიკებს, როგორც „ძირშივე მცდარ“ ანტიმეცნიერულ თეორიას. მეორეში კი, ასაბუთებს ილიას დიდ იდეას, თუ როგორ „აღმოვშობოთ ახალი საქართველო ძველიდგან“. ბ-ნი ივანე წერს:

„ილია ჭავჭავაძე საქართველოს ისტორიას მანამდე სრულიად უცნობი თვალსაზრისით მიუდგა... მისთვის – „ერი ეს არის ისტორიით შედუღებული ერთსულ და ერთხორც მკვიდრთა კრებული“... ამდენად, ილია მუდამ წინა პლანზე ერის სულიერ, ფსიქიკურ ფაქტორებს აყენებდა. მან აღნიშნა, რომ „ჩვენს წარსულში არის ერთი იმისთანა მოვლენა, რომელსაც უარს ვერავინ ჰყოფს... ჩვენი ხალხი და ქვეყანა სულ მუდმივ ომიანობაში იყო... **საკვირველი ეს არის – რა ქონებამ გაუძლო ამისთანა ყოფასა? რა ჰკვებავდა ხალხსა? რა ქონებით უძღვებოდა ამოდენა განუწყვეტელს ომებსა და სისხლისღვრასა?** (ხაზგასმა ივ. ჯავახიშვილისა).

თვით პრობლემის ასეთ დაყენებასაც კი, ბ-ნი ივანე უპრეცედენტო მოვლენად განიხილავს ქართულ მეცნიერებასა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში – ასეთი რამ „ილიამდე არავის მოსვლია თავშიო“, მაგრამ კიდევ უფრო მეტ აღფრთოვანებას იწვევს ამ პრობლემის ილიასეული გადაწყვეტა:

„ეს პრობლემა ი.ჭავჭავაძეს სრულიად სამართლიანად საქართველოს ისტორიის პირველხარისხოვან ამოცანად აქვს აღიარებული. ის ამბობს: **„აი, საგანი ღირსშესანიშნავი და მეტად საინტერესო გამოსაკვლევად. ამ საგანზედ რომ უეჭველი პასუხი მოგვცეს ვინმემ, ბევრს ნათელს მოჰფენდა აწმყოსა და მომავალსაც გზას გაუნათებდა“** (ხაზგასმა ივ. ჯავახიშვილისა).

და აქვე ერთი მეტად სიმბოლური ფრაზა: **„მაგრამ ილია ჭავჭავაძის წამოყენებულ საკითხზე პასუხის გამცემი რომ მაშინ საქართველოში არავინ იყო, ეს მას სხვაზე უკეთესად მოეხსენებოდა“**. (ხაზგასმა ჩვენია).

აქ რა თქმა უნდა, ბ-ნი ივანე მესამედასურ იდეოლოგიას და მესამედასელებს გულისხმობს, მათ ორივე ფრთას, რომლებიც ჩვენს ისტორიაში **„გარდა გმობისა და უარყოფისა“,** სხვას ვერაფერს ხედავდნენ. ხმამაღლა ამას ბ-ნი ივანე ვერ იტყოდა, მაგრამ სტრიქონებს შორის ეზოპეს ენით იმაზე კი მიგვანიშნებს, რომ კოსმოპოლიტიზმისა და კლასობრივი ბრძოლის იდეოლოგიას ილიამ **„საერთო ნიადაგის“ თეორია და კლასობრივი თანამშრომლობის** იდეოლოგია დაუპირისპირა...

„საერთო ნიადაგის“ თეორია ორ ათეულზე მეტ სამართლებრივ, პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და ზნეობრივ პრინციპს მოიცავს. დაწყებული 1877 წლიდან, ისინი გაბნეულია „ივერიის“ გვერდებზე ასობით და ათასობით პუბლიკაციაში. განსაკუთრებით ინტენსიური გახდა ეს XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე, როცა ილია სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდა მესამედასელებს. სწორედ მათთან პოლემიკაში ჩამოყალიბდა საბოლოოდ „საერთო ნიადაგის“ თეორიაც...

ბ-ნი ივანეს მიზანი ერთი იყო: მომავლის ეროვნული ეკონომიკის ფორმირებაში ილიას ეს იდეა საქმედ ქცეულიყო.

დღეს ჩვენ თეზისების სახით ჩამოვთვლით იმ პრინციპებს, რომლებიც, ვფიქრობთ, შესაძლებელს გახდიან ამ იდეის რეალიზაციას:

1. უპირველეს ყოვლისა, სასოფლო-სამეურნეო „ხოდაბუნები“ ძველ საქართველოში დაფუძნებული იყო ხალხის ფართო თვითმმართველობასა და თვითმოქმედებაზე. ამიტომ წერს ილიაც ხაზგასმით ჩვენს გასაგონად – **„ჩვენი ხსნა ხალხის თვითმოქმედებასა და თვითმმართველობაშია!“** – სწორედ ძველი საქართველოს ხოდაბუნურ კორპორაციებში აისახა ილიას იდეალი – „ყველა საზოგადოებრივ ძალთა ერთ კვალში ჩაყენება“. ეს პრინციპი არსებითია მასთან.

2. იგი თავის მხრივ, ორგანულად უკავშირდება „ერთნებაობითა და თანადგომით მართვის“ დავით აღმაშენებლის პრინციპს. ისიც სიმბოლურია, რომ „ხოდაბუნის“ პირველი ხსენება სწორედ შიო მღვიმის მონასტრისადმი მის „ანდერძშია“ დაფიქსირებული: („ვითა ბერსა განმანათლებელსა ჩემსა არსენის განუწესებია, მე ხოდაბუნი შემიწირავს მუხრანსა...“). ისიც სიმბოლური სიტყვებია, რომლითაც დავით აღმაშენებელი მიმართავს მემკვიდრეს: „აწ შვილმან ჩემმან მეფემან დიმიტრი სრულჰყოს ყოველი საუკუნოდ“.

3. „ხოდაბუნი“ დღევანდელ ობიექტურ პირობებში შეიძლება დაფუძნდეს როგორც კერძო და სასოფლო, ისე სახელმწიფო მიწების კოოპერაციით. სტატიაში – „კერძო და სათემო მიწათმფლობელობა“, ილიას ასეთი გაერთიანება „საერთო ნიადაგის“ თავისებურ მატერიალურ ბაზად მიაჩნდა. მთავარია, ყოველივე ამას მკვიდრი სამართლებრივი და ფინანსური საფუძვლები შევუქმნათ. სახელმწიფოს რეგულატორული როლის არსიც ხომ ეს არის.

4. სახელმწიფოსთან ერთად და მისი „უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმით“, თავის მხრივ „ხოდაბუნები“ ორგანიზებას უკეთებენ დაუსახლებელ და აუთვისებელ მიწებზე **„ახალ დასახლებათა“** შექმნას და განვითარებას. ეს განსაკუთრებით მიზანშეწონილია, განხორციელდეს მთის, მთისძირა და ქვეყნის განაპირა სასაზღვრო რეგიონებში. თვითონ ილიამ ვარლამ ჩერქეზიშვილთან და დიმიტრი მაჩხანელთან ერთად, ასეთი რამდენიმე „ახალი დასახლება“ შექმნა გომბორსა და ივრისპირეთში...

5. თითოეულ ამ „ახალ დასახლებაში“ ტრადიციულ სამეურნეო დარგებთან ერთად, სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს თანამედროვე აგრარული და აგრეთვე, ინდუსტრიული წარმოების განვითარებას. ამ გზით ისინი ქვეყნის დემოგრაფიული, ეკოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების მძლავრ საშუალებად გადაიქცევიან.

6. სახელმწიფოსთან ერთად, „ხოდაბუნი“ და მათი რეგიონალური გაერთიანებანი ქმნიან აგრო-სერვისის ცენტრებს შორეული მიწის მასივებზე. აქაც აუცილებელია მათი ფუნქციონირების ეფექტური საფინანსო-ეკონომიკური და სამართლებრივი ბაზის შექმნა.

7. „ხოდაბუნებს“ საკანონმდებლო გზით უნდა მიეცეთ შეღავათიანი კრედიტების, აგრეთვე, ნატურალური და ფულადი ანაზღაურების საკუთარი სისტემის ფორმირებისა და განვითარების საშუალება. მხოლოდ მათი გადასაწყვეტია, თუ რა კონკრეტულ ეკონომიკურ და ადმინისტრაციულ სტრუქტურას და სისტემას აირჩევენ ფუნქციონირებისთვის. ეს მათ უნდა გადაწყვიტონ დემოკრატიული გზით და მოქმედი კანონმდებლობით მოცემულ რეგიონში და მოცემულ კონკრეტულ პირობებში. ეს მათი სტაბილურობის გარანტიაა, სტაბილურობა კი ნებისმიერი საქმის წარმატების საწინდარია.

„ხოდაბუნი“ ოდითგანვე ჩვენი ისტორიის დიდი სიმდიდრეა და მას ჩვენგან გათავისება-აღდგენა – გათანამედროვეობა სჭირდება. „საერთო ნიადაგის“ თეორია ბევრ ასეთ სიმდიდრეს შეიცავს მომავლის ორიენტირად. მხოლოდ ამ გზით შევძლებთ გავიგოთ, თუ – **„რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შეიძლება ვიქმნეთ“...**

ვფიქრობთ, რომ 10-15 წლიანი ორიენტირი სრულიად საკმარისია „ხოდაბუნების“ საერთო-ეროვნული სისტემის ფორმირებისთვის. ეჭვი არაა, რომ ეს არსებითად შეცვლის ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიკურ განვითარებასა და ახალ ბიძგს მისცემს „საერთო ნიადაგის“ თეორიის სხვა პრინციპების განხორციელებასაც. „ხოდაბუნებს“ ჩვენ „ქართულ კიბუცებს“ ვუწოდებთ და მათ შეუძლიათ, დიდი სტიმული მისცენ ქვეყნის მომავალ განვითარებას.

ამის გარანტიაა ის, რომ მას მკვიდრი ეროვნული ფესვები აქვს. აქ საინტერესო სტატისტიკას გვთავაზობს ივ. ჯავახიშვილი „ქართველი ერის ისტორიის“ II ტომში, როცა X-XIII საუკუნეების ეროვნულ ეკონომიკას ეხება. დღეს ვინ დაიჯერებს, რომ მაშინდელი საქართველოს ეროვნული შემოსავალი ყველა მაშინდელ სახელმწიფოთა შემოსავლებს აღემატებოდა და მხოლოდ ინგლისს ჩამორჩებოდა ოდნავ.

ივ. ჯავახიშვილი თავის ანალიზს ერთი მეტად სიმბოლური მინიშნებით ამთავრებს: „ჩვენს ხალხს ანდაზად აქვს ნათქვამი – „კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდა“-ო და ჩვენდა საუბედუროდ, ილია ჭავჭავაძეს კარგი გამგონე არ გამოსჩენია“.

ახდება ის, რაც მან თავის „კარგ ქვეყანას“ უწინასწარმეტყველა, თუ გავყვებით „ილიას გზას“. ამიტომ უპრიანია, ახალ პარლამენტში დაფუძნდეს ახალი ფრაქცია – **„ილია მართალი“.** ეს იქნება ჩვენგან მისი „კარგი გაგებაც“ და სამომავლოდ „ილიას გზაც“...

ელგერდ გატიაშვილი

P. S. ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა დაინტერესდეს ამით ვინმე?!

ეს დამატება ერთ კონკრეტულ ფაქტს ეხება, რაც ასე დამახასიათებელია ჩვენი პრესისთვის და რასაც ხელისუფლების მხრიდან „წერეთ და იკითხეთ“ ჰქვია.

მოგეხსენებათ, პრესამ და მის მიერ ატეხილმა სკანდალმა 1970-იან წლებში აშშ-ში პრეზიდენტი ნიქსონი იმსხვერპლა. სწორედ ამავე 1930-იანი წლებიდან დაიწყო საქართველოში კრიტიკული წერილების გამოქვეყნება შირაქზე და მემარცვლეობის პრობლემებზე. შირაქს და ქიზიყს ივანე ჯავახიშვილი „საქართველოს პურის ბეღელს“ უწოდებდა, მიწებიც მთლიანად სასოფლო-სათემო საკუთრება იყო ისტორიულად.

უკანასკნელი 25 წლის მანძილზე ეს მიწები დაიტაცეს და დაიკანონეს კერძო საკუთრებად. შესაბამისად, „პურის ბეღლის“ ფუნქციაც დაკარგა და დღეს საქართველო იკვებება, ღმერთმა იცის საიდან შემოტანილი, გარდა საკუთარი პურისა. ამ თემაზე ჩვენს პრესაში, მათ შორის, „საქართველოს რესპუბლიკაში“ ინტენსიურად იბეჭდებოდა მასალები, მაგრამ ყველა ხელისუფლებიდან რეაქცია ნულია. გამოძიების ცდაც კი არ ყოფილა, თუ რატომ გაანიავეს წლების მანძილზე მიწები ასე მასობრივად, სოფლებს საძოვრებიც კი წაართვეს...

ხელთ მაქვს 2010 წლის ერთი დოკუმენტი, საიდანაც ნათლად ჩანს, თუ როგორ მიეკუთვნებოდა უცხოელ მოქალაქეებს – ინდოელებს, არაბებს, ირანელებს, ჩვენი ქვეყნის უმთავრესი სიმდიდრე – მიწა: ერთ დღეში შექმნილ შპს „აგრო-ვესტს“ გადაეცა ათასობით ჰექტარი სახელმწიფო მიწა, ისე, რომ საკუთრების ხელშეკრულების არც ერთი პირობა არ შეასრულა, ეს მიწა თავისი შენობა-ნაგებობებით და ტექნიკით მიჰყიდეს არაბებს. როგორც ადგილობრივნი ამბობენ, გაცილებით ძვირად, ვიდრე გააფორმეს.

იქნებ ახლა მაინც გაირკვეს, როგორ და რანაირად ხდება ეს – ოდესმე ხომ უნდა გამოჩნდეს ვინმე, ვინც დაინტერესდება ამით? თანაც არ დაგვავიწყდეს, ამ დასახლებას ილია ჭავჭავაძის სახელი – „ილიაწმინდა“ ჰქვია. უკეთესს რას მიუძღვნიდნენ ილიას სახელს?!

ე. ბ.

იქნებ სჯობდეს, ხშირად ვიკითხოთ „ვეფხისტყაოსანი!“

სამი არის მოყვრისაგან მოყვრობისა გამოჩენა:
პირველ, ნდომა სიახლისა, სიშორისა ვერ-მოთმენა,
მიცემა და არა შური, ჩუქებისა არ-მოწყენა,
გავლენა და მოხმარება, მისად რგებად ველთა რბენა.

ᲓᲐ რამდენი ასეთი ძვირფასი აფორიზმი გვხვდება ჩვენს განსაკუთრებით საამაყო და განსაცვიფრებლად მდიდარ, მხატვრფულ-ფილოსოფიურ პოემაში – „ვეფხისტყაოსანი“. შოთა რუსთაველი! რა ძალა აქვს ამ გვარს და სახელს ქართველი კაცისთვის და არა მგონია, რომ მარტო ქართველისთვის. ვეფხისტყაოსანი! – ეს საქართველოა თუ შოთა რუსთაველია საქართველო? ერთშიც და მეორე სახელწოდებაში, ან უკეთ რომ ვთქვათ, უკვე ცნებებად ქცეულ სიტყვებში საქართველო მოიაზრება, ჩვენი სული, გული, ჩვენი აზროვნება, გონიერება, მსოფლმხედველობა – ერთი სიტყვით ჩვენი ხასიათი, ჩვენი დამოკიდებულება იმ საკაცობრიო მნიშვნელობის ღირებულ გრძნობებზე, რომელსაც პატრიოტიზმი, სიყვარული, მეგობრობა, პასუხისმგებლობა, ვალდებულება, ერთგულება, ანუ – ზოგადად ადამიანურობა ჰქვია. რუსთაველი ჩვენი მზეა, იგი გვასხივებს, გვაბრწყინებს და მისი შუქი და ბრწყინვალება მარადჟამ გაგვათბობს ადამიანებს – მკითხველ და მოაზროვნე კაცობრიობას. რუსთაველი, დანტე, შექსპირი, სერვანტესი – კიდევ არანაკლებ ძვირფასი სხვა სახელებიც, – რაღაც სასწაულები, ენით უთქმელი საოცრებანი, გენიოსები არიან და ძალაუნებურად დაგებადება კითხვა – საიდან და როგორ, ვინ გაგვიჩინა, ვინ მოგვიყვანა პლანეტაზე ისინი? დიახ, ღრმად დამაფიქრებელი მოვლენა არ არის? ვინ იყვნენ ისინი, რომლებმაც ასეთი მუხტი შემოიტანეს მწერლობის, პოეზიის, ლიტერატურის ისტორიაში, თუნდაც, უბრალოდ რომ ვთქვათ, ადამიანური ყოფისა და არსებობის ისტორიაში, აღგვჭურვეს და დაგვხუნძლეს ცოდნით, განათლებით... გაგვიჩინეს სიკეთისაკენ ლტოლვის ინტერესი და, რაც მთავარია, დაგვანახვეს კაცობრიობის უკვდავების გზა – ერთობა, მეგობრობა, თანადგომა, სიყვარული, ჰუმანიზმი!

რუსთაველი! – რა ეპოქამ შექმნა იგიო, – ამბობენ, არა, მან შექმნა ეს ეპოქაო! – ასეც ამბობენ, მაგრამ ხომ ვიცით, რომ ადამიანის ტვინი ისეა მოწყობილი ვერც შექმნის და ვერც წარმოიდგენს, ვერც დაწერს და ვერც გადმოგვცემს ისეთ რამეს, რაც არ არსებულა, არ არსებობს და არც იარსებებს, რისი მატერიალურად განსხეულებაც შეუძლებელია და ამ ლოგიკის მიყოლებით, ვფიქრობ, რომ ის ადამიანები, ის გმირები, ის გრძნობები, რომლებზედაც და რაზედაც გვესაუბრება დიდი გენიოსი, ნამდვილად რუსთაველის გარემო იყო. უთუოდ იყო ისეთი სახელმწიფო, იყვნენ ისეთი მეფეები, არსებობდნენ ამ დიდ პოემაში დახატული ადამიანები... მაგრამ მაღალმხატვრული ლიტერატურული ხერხებით, აღწერო და დაგვისურათო სამყარო, რომელშიდაც ცხოვრობ, დაინახო და შეამჩნიო ავი და კარგი, კეთილი და ბოროტი, გაუჩინო ადამიანებს ბოროტის დამარცხების იმედი, სამუდამოდ უკვდავყო შენი ეპოქა და შექმნა ისეთი განძი, რომელიც არა მარტო შენს თაობებს, არამედ საშვილიშვილოდ, სამარადჟამოდ მანათობელ შუქურასავით გაუძღვება კაცობრიობას ცხოვრების გზაზე, ეს ხომ მართლაც სულ სხვა რაღაცაა, ღვთიური და ზებუნებრივი. და გვჭირდება ახლა, ძალიან გვჭირდება ქართველებს რუსთაველი. ყოველთვის გვჭირდებოდა, ახლა კი განსაკუთრებით! სიმტკიცე, ერთგულება, დაპირების შესრულება, – აი ის რეალიები, რაც აუცილებელ და თანამდევ ღირებულებებად მიაჩნია რუსთაველის გმირს, არაბეთის სამეფოს სპასპეტს, ამირსპასალარის ძეს – ავთანდილს. დიახ, ის არ არის რიგითი მცხოვრები ქვეყნისა, სახელმწიფო მოღვაწეა, სამშობლოს სიყვარულითა და მის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით გამსჭვალული, მაგრამ, სწორედ პასუხისმგებლობის ძლიერმა გრძნობამ აიძულა ავთანდილი თავისი საყვარელი სამთავრო-საგამგებლო თავისი მტერ-მოყვრითა და უამრავი სახელმწიფოებრივი საქმით, დაეტოვებინა და ჩაებარებინა ერთგული ქვეშევრდომისთვის: „სახლი ჩემი შეინახე, სპათა ჩემთა ეთავადე, მტერთა ჩემთა ენაპირე, ძალა ნუმცა მოგაკლდების, ერთგულთათვის კარგი ნუ გშურს, ორგულიმცა შენი კვდების“, – უბარებს იგი შერმანდინს და უკვე მეორედ, მიემგზავრება ტარიელის საშველად, დასახმარებლად შორეულ და ხიფათიან გზაზე. რატომ? რა აიძულებს ავთანდილს, რომ საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად ეძებოს და დაეხმაროს ვეფხის ტყავით შემოსილ ვინმე მოყმეს? თუმცა, ამ ჯერზე, ჩვენ პოემის იმ ნაწილზე გვაქვს საუბარი, სადაც ავთანდილმა უკვე იცის ვინ არის ის უცხო მოყმე, რა გაჭირვებაში და ყოფაშია ტარიელი. ჩვენც ვიცით მისი, ავთანდილის პირველი მოგზაურობის შესახებ, როგორ შეუსრულა თხოვნა საყვარელ ადამიანს, იმავე ტახტზე სულ ახლახან დაბრძანებულ დედოფალს – თინათინს. ავთანდილი ხვდებოდა, რომ ეს თხოვნა არ იყო მეფე როსტევანისა და ახლად გამეფებული თინათინის ახირებული ცნობისმოყვარეობა, ხვდებოდა, რომ ორი პოლიტიკური მოღვაწე შეაფიქრიანა უცხო მოყმის გამოჩენამ მათივე სამეფოს საზღვრებში. სწორედ ამან გაუორკეცა პასუხისმგებლობის გრძნობა ამირსპასალარს, ერთი წლის განმავლობაში მოწყვიტა თავის სამთავროს და სად არ ატარა, რა ხიფათები არ გამოავლევინა, ვისთან არ მიიყვანა, რომ პირნათლად შეესრულებინა დედოფალ თინათინის წინაშე დადებული პირობა. ახლა კი სულ სხვა პასუხისმგებლობა ამოძრავებს ავთანდილს. „უცხო მოყმის“ ამოცნობის საკითხი, ანუ ამოცანა პირნათლად ამოცნობილია და შესრულებული, მაგრამ შემდგომ გაჩნდა სხვა პასუხისმგებლობა მეგობრობისა და ძმადნაფიცობის გრძნობების, სიტყვისა და ფიცის გაუტეხელობის მიმართ. ავთანდილი მთლიანად შეიპყრო უბედური შემთხვევებით დათრგუნვილი, სულიერად გატეხილი ადამიანისადმი თანადგომის დაუძლეველმა სურვილმა, საყვარელი ქალის უგზო-უკვლოდ დაკარგვამ რომ სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. საოცარი სიტყვებით ახასიათებს ასმათი ტარიელის მდგომარეობას, ამ დიდებულმა ვაჟკაცმა დარდისაგან გული დაკარგაო, და იგი „უგულო მოელის მართ დღეთა შემოკლებასა“, გული კი ისეთი რამეა, „ცნობასა და გონებაზე ჰკიდიაო“ და საუბედუროდ, „უგულო კაცი ვერ კაცობს, კაცთაგან განაკიდიაო“ – ასკვნის ტარიელის „ქვათაცა შემაძრწენი“ თავგადასავლისა და „ცეცხლში წვის“ შემსწრე და შემყურე ასმათი. ერთი სიტყვით, ტყე-ველში ხეტიალისა და ამდენი განსაცდელის შემდეგ უკვე ასმათსაც, ერთგულებით, გამძლეობითა და სათნოებით გამორჩეულ ამ ადამიანსაც კი იმედი ეწურება, მაგრამ გაუტეხელი და შეუდრეკელი რჩება ავთანდილი. მან ხომ სიტყვა მისცა და დახმარება აღუთქვა ჭირში ჩავარდნილ მეგობარს . მაგრამ ტარიელი არ დახვდა იქ, სადაც უნდა დახვედროდა, და „ყმა გაემართა საძებრად, ... მოვლო მრავალი ხევი, შამბნარი, ტყე, ველი: მიდის „მჭმუნვარე“. არ ასვენებს მოყვასის ბედზე ფიქრი, სად ნახოს, რა ქნას, რითი უშველოს... მზად არის თავგანწირვისთვის. მიდის ავთანდილი და ხედავს რომ სადღაც „შავი შამბთა პირსა“, თითქმის უსულო, გდია კაცი, „მას აღარა შეესმოდა, სოფლის გაღმა გაებიჯა“... „ერთ-კერძ უც ლომი მოკლული... კვლავ სხვაგნით – ვეფხი უსულო, მკვდარი, ქვე-დანარცხებული;“ ეს ტარიელია, ტყის ნადირებთან ნაომარი...

საოცარია! მეგობრობის თანადგომის, სიტყვის არგატეხვისა და პასუხისმგებლობის სამარადჟამოდ ღირებული გრძნობებით ამაღლებული რუსთაველის გმირები ერთმანეთს უკითხავენ შეგონებებს და ჩვენ, მის მკითხველებს, ადამიანებს გვაგონებენ, რომ

„თუ ბრძენი ხარ, ყოვლნი ბრძენნი აპირებენ ამა პირსა:
ხამს მამაცი მამაცური, სჯობს რაზომცა ნელად ტირსა,
ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვიტკირსა.
თავისისა ცნობისაგან ჩავარდების კაცი ჭირსა“.

ავთანდილის მიერ ძვლივს მოსულიერებული ტარიელი ერთ ხანს ეწინააღმდეგება მას: „ბრძენი ვინ ბრძენი რა ბრძენი, ხელი ვითა იქმს ბრძნობასაო“...უპასუხებს, მაგრამ არ ნებდება ავთანდილი მის წინააღმდეგობას და ბოლოს დაიყოლიებს კიდეც, გონს მოვა ტარიელი, გამოცოცხლდება, ცხენზე შეჯდება და გაჰყვება მეგობარს: „ გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარიო,“ ასკვნის და გვასწავლის დიდი რუსთაველი.

რა კარგი, სულში და გულში ჩამწვდომია რუსთაველის თითოეული სიტყვა, აღფრთოვანებაში მოვყავართ მისი გმირების ქცევებს და მოქმედებებს, მაგრამ, ვზივარ და ვფიქრობ, რატომ მომენატრა რუსთაველი ასე ძალიან, რამ გამაბედვინა მე, ერთ რიგით მკითხველს, რუსთაველზე ჩემეული ფიქრები ფურცელზე გადმომეტანა. ვის, რომელ მწერალ-კრიტიკოსს არა აქვს ნათქვამი თავისი სიტყვა „ვეფხისტყაოსანზე,“ განა მათზე უკეთ შემიძლია რაიმე ვთქვა? არა, რა თქმა უნდა! ყველას თავისი აზრი აქვს და მე კი ჩემეული სათქმელი დრომ, ამჟამინდელმა ვითარებამ გამიჩინა.

ძალიან, ძალიან ხშირად ჩავიხედოთ „ვეფხისტყაოსანში“, მივყვეთ მის გმირებს და გავითავისოთ ისინი. რატომ იღვწის ავთანდილი? განა მან რომელიმე ტომს, ხალხს, ათასებს მისცა პირობა, ფიცი? არა! მხოლოდ ერთ ადამიანს, ერთ ფრთამოტეხილ, სულიერად განადგურებულ კაცს მისცა პირობა, შენთანა ვარ და საქმის ბოლომდე, გამარჯვებამდე შენთან ერთად, შენი ერთგული ვიქნებიო. მხოლოდ კაცთმოყვარეობა და არავითარი სხვა ინტერესი არ ჰქონია ავთანდილს... იგი ადამიანია და პირნათლად იხდის თავის ადამიანურ მოვალეობებს მხოლოდ საკუთარი სინდისის წინაშე (სხვა შემთხვევაში სახელმწიფოსა და მეფის წინაშე), „ვერ გავუტეხ ზენაარსა, ვერ გავწირავ ხელი ხელსა, რამცა სადა გაუმარჯვდა კაცსა, ფიცთა გამტეხელსა!-ო“, ამბობს ავთანდილი. შორეული ეპოქაა, რამდენი საუკუნე, რა გრძელი ისტორია და ბევრი სხვა სოციალური, პოლიტიკური, თუნდაც გეოგრაფიულ-ეკოლოგიური მოვლენები გვაშორებენ ჩვენ, ოცდამეერთე საუკუნის ადამიანებს იმ ეპოქისაგან, მაგრამ ხომ საოცარია, ის, რასაც გვეუბნებიან დიდი ადამიანები: „რომ რაც იყო, იგივე არის, და რაც არის იგივე იქნება მარად!“არ შეცვლილა ამ სიტყვების საკაცობრიო მნიშვნელობა, არც ჩვენთვის – ქართველებისთვის შეცვლილა არაფერი, – ხალხნო! სად დავკარგეთ ის პასუხისმგებლობა, ჩვენივე თვისტომ ავთანდილს, თუნდაც მომდევნო საუკუნეების (არცთუ შორეულის) ქართველებს რომ ჰქონდათ: ჩვენს დიდ ილიას, ჩვენს პატარა მარო მაყაშვილს...სად არიან მათი სისხლისა და ჯიშისანნი? ეჰ, დაგვპირდებიან, სახალხოდ და სააშკარაოდ, გულზე ხელს იბრაგუნებენ, მენდეთ, ამირჩიეთ, მოვალთ, გაგიძღვებით, სწორ გზაზე გაგიყვანთ, ერთად ვიშრომოთ, ერთად ვიზრუნოთ ჩვენს მამულსა და ხალხზე... ავაშენოთ ისეთი ქვეყანა ევროპა, რომ ჩვენთან სიახლოვეს, ჩვენთან დამაკავშირებელ-დამეგობრობის გზებს თავადვე ეძებდესო... და, მართლაც, ამ იმედისმომცემი სიტყვების გავლენით ავირჩევთ კიდეც ვითომ ასარჩევთ ... მერე რა ხდება? ვიცით უკვე ყველამ ეს! ისინი მართლაც „გაევროპელდებიან“, ხალხის მონაგარზე შესანიშნავ ცხოვრებას იწყობენ... ქვეყანა კი ისევ ძველ ყოფაში რჩება. სად არის სიტყვის გაუტეხლობა, ერთგულება და პასუხისმგებლობა? სად დაგვეკარგნენ ავთანდილები? ნუთუ მხოლოდ „ხარბი და გაუძღომელი“ გულის, „ყოველთა ჭირთა მთმო“ , მხოლოდ ლხინთა მდომელი ადამიანები შემოგვრჩნენ? – ვფიქრობ. და კიდევ უფრო მეტად ვრწმუნდები, რომ უნდა ვიკითხოთ „ვეფხისტყაოსანი“, ხშირად, ხშირად გამოვიწვიოთ შოთა რუსთაველი, მაგრამ ვაითუ „ბინდისფერია სოფელი, ესეთურ ამად ბინდდების, კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოდინდების!“

არა მგონია, ჩვენებური კოკისა იყონ ფიცისგამტეხნი და ის მატყუარა ადამიანები, ვითომ არჩევნების გზით რომ მოდიან და ბოლოს იმედგაცრუებულს გვტოვებენ, მაგრამ მაინც ფრთხილად ვიყოთ, ხალხნო, იქნებ მოვახერხოთ და წინასწარვე გავიგოთ, რა დგას იმათეულ „კოკასა შიგან“!

გულნარა სტურუა

ᲰᲝᲚᲘᲕᲣᲓᲔᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ჰოლივუდელი კინომწარმოებლების წარმომადგენლები ე.წ „ლოკაციის მენეჯერები“, რომლებსაც ისეთ ფილმებზე აქვთ ნამუშევარი, როგორებიცაა: „Transformers“, „Captain America“, „The Town“, „The Hangover“, „Sicario“, „Mission Impossible“, კინოინდუსტრიის ხელშეწყობის პროგრამის „გადაიღე საქართველოში“ ფარგლებში 20-დან 26 ივნისის ჩათვლით საქართველოს სხვადასხვა რეგიონებს დაათვალიერებენ – ერთი კვირის განმავლობაში თბილისს, რუსთავს, კახეთს, მცხეთას, ყაზბეგს, უფლისციხეს, წყალტუბოს, ზუგდიდსა და მესტიას, ასევე ანაკლიასა და ბათუმს მოინახულებენ. სწორედ აღნიშნული პირების რეკომენდაციაზეა დამოკიდებული ქვეყანაში ახალი ფილმების გადამღები ჯგუფების შემოსვლა.



ჰოლივუდის დელეგაციას პროგრამის „გადაიღე საქართველოში“ განმახორციელებელი უწყება, მეწარმეობის განვითარების სააგენტო, საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულ ცენტრთან ერთად მასპინძლობს და ქვეყნის შესაძლებლობებს, ასევე სხვადასხვა მომხიბვლელ და მათი ინტერესის სფეროს გათვალისწინებით შესაბამის ლოკაციებს აცნობს.

აღსანიშნავია, რომ პროგრამისადმი „გადაიღე საქართველოში“ ინტერესი საკმაოდ მაღალია და მეწარმეობის განვითარების სააგენტოში, რომელიც აღნიშნულ პროგრამას ახორციელებს, უკვე შემოსულია 3 განაცხადი, რომლის შედეგადაც საქართველოში ჯამურად 5 700 000 ლარამდე თანხა დაიხარჯება. პროგრამის ფარგლებში უკვე მიმდინარეობს ინდური ფილმისა და ქართულ-გერმანული პროექტების გადაღებები, დაგეგმილია ამერიკული პროექტის განხორციელება. ამასთანავე, სხვადასხვა საერთაშორისო პროდიუსერთან მიმდინარეობს აქტიური მოლაპარაკებები დამატებით რამდენიმე ფილმის გადაღებებზეც.

კარედი საოჯახო პანთეონიდან

დიდი ქართველი მხატვრის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის, პროფესორ კორნელი სანაძის მიერ შესრულებული პორტრეტი, რომელიც ბეჭდური მედიის საშუალებით დღეს პირველად ქვეყნდება, 51 წლის წინათ, სუსხიან იანვარში, ქორწილის დღეს თბილისიდან ქუთაისში საგანგებოდ ჩამოსულმა ჩემთვის უძვირფასესმა და უახლოესმა უფროსმა მეგობრებმა, ამ ნაწარმოების ავტორმა და მისმა მეუღლემ, ქალბატონმა თინა ვოლსკაია-სანაძემ სასიდედროს სამახსოვრო საჩუქრად გადასცეს:



შენი ქალიშვილი მიგვყავს, მაგრამ ოჯახში მის პორტრეტს გიტოვებთო. ასე შეემატა ერთადერთი იმედი შინმოუსვლელთა კედელს — უძვირფასესთა ხსოვნის საოჯახო პანთეონს.

პატარძლის, მაკა ლოსაბერიძის მამა — შალვა ომის დაწყებისთანავე ფრონტზე აღმოჩნდა და როგორც ხაზგასმით არის აღნიშნული ლეგენდარული ქართული დივიზიის სარდლის, გენერალ გიორგი ყურაშვილის წიგნში „გმირთა სისხლით“, ისიც და მისი ორი ძმაც — ალექსანდრე და მელენტი — ისევე სახელოვნად დაეცნენ ომის ველზე, როგორც პატარა საქართველოდან წასულთაგან ის 300 ათასი, კაცობრიობის გადარჩენას რომ ემსხვერპლნენ. ალექსანდრე ლვოვში დაღუპულა, სადაც სამხედრო აეროდრომის უფროსად მსახურობდა; ომის პირველსავე წუთებში სრულიად მოულოდნელ დაბომბვას უმსხვერპლია. მელენტი ბატაისკის მისადგომებთან დაცემულა, თავად შალვა კი — სადღაც როსტოვთან.

* * *

ფაშიზმთან ბრძოლისას პატარა საქართველომ რაოდენობრივად გაცილებით დიდი მსხვერპლი გაიღო, ვიდრე სხვა საბჭოთა რესპუბლიკებმა, სამწუხაროდ, ბედმა არც ეს სულისშემძვრელი დანაკლისი გვაკმარა.

ამაოდ ელოდნენ საცოლეები ომში წასულ საქმროებს და იმ უმძიმესი 4 წლის განმავლობაში ახალი სიცოცხლე არც ერთი მათგანის ოჯახს არ შემატებია.

შინ დარჩენილთაგანაც უამრავმა გაიზიარა პატარძლის ორი მცირეწლოვანი დის ხვედრი. ომის მრისხანე დღეებში გამეფებული სიდუხჭირის გამო სრულწლოვანებას ვერ ეღირსნენ და დიდი ხანია, იქ განისვენებენ, სადაც დედისა და შინმოუსვლელი მამის სიმბოლური საფლავების გვერდით მრავალი ათეული წლის შემდეგ მათი უმრწემესი დედმამიშვილიც დაიკრძალა. ასე რომ, 300 ათასი კი არა, საქართველომ მეორე მსოფლიო ომსა და მის მომდევნო წლებში სამჯერ სამასი ათასზე მეტი შვილი დაკარგა.

* * *

სიცოცხლის ბოლო დღეებამდე მამისა და ბიძეების კვალს დაეძებდა. სად აღარ ჩავიდა, მათი თანამებრძოლებისათვის გაგზავნილი და პრესაში გამოქვეყნებული წერილებით ვის არ მიმართავდა, ვის არ ემუდარებოდა, თუ რაიმე იცით მამაჩემისა და მისი ძმების შესახებ, შემატყობინეთ, რათა როგორმე მათ საფლავებს მივაგნოო. მაგრამ ვერავისგან რომ ვერ მიიღო სასურველი პასუხი და ვერაფერი იპოვა, დედის გვერდით მამას სიმბოლური საფლავი მოუწყო - რაც არ უნდა მოხდეს, მის შიშველ ძვლებს მაინც მივაგნებ და სამუდამო განსასვენებელს მომზადებულს დავახვედრებო.

სიკვდილის წინ იპოვა, ღრმადა ვარ დარწმუნებული, ნამდვილად იპოვა და როგორც ცოცხალს, ისე გაესაუბრა მამას, რომელიც 75 წლის წინათ, 22 ივნისს საბოლოოდ დაემშვიდობა თვისა და ერთი კვირის ჩვილს.

დიახ! მე თვითონ მოვისმინე და ვნახე, თუ როგორ დატოვა ამიერი ამ შეხვედრისას ნათქვამი ბოლო სიტყვითა და იმ ყოვლისმომტევებლური ღიმილით, რომელიც ნახევარი საუკუნის წინათ მხატვარმა მის პორტრეტში ხაზგასმით გამოარჩია.

ზედაშე

უკვე წასულო, მაგრამ გულში ამოუშლელო,
უშენობისგან ყრუ შენობას როგორ ვუშველო,
მარტომ, უშენომ?!
მარადისობა, ალბათ. შეგვყრის მალე მე და შენ;
ჰოდა, დღეს იმ დღეს ვადღეგრძელებ და
ვსვამ ზედაშეს!

ბალადა შინმოუსვლელ მამაზე

ისე წახველი, რომ ალერსი სვემ არ გაღირსა,
დედასთან ერთად ხელით მამისა!
ვერ გაარკვიე, სად გარიყა მისმა რწმენამ,
და სად არგუნა ბოლო ძილი ბედისმწერალმა?
მამაშვილური მოგიხმობდა მას შემდეგ გენი,
დიდხანს ეძიე, მაგრამ საფლავს ვერ მიაგენი.!

შენი სიტყვები ჩემს წინ დღესაც ცრემლებად ცვივა:
„სად დაიღუპა, თავის ტყვია სად გააცივა?“
და რაკი სადღაც მამის ძვლები დარჩა შიშველი,
დედის საფლავთან დადგი ძეგლი შინმოუსვლელის.

ახლა, როდესაც შენც მათ გვერდით დაიბანაკე,
რომ არ ვიწამო, წარმიტანოს უმალ მიწამა,
რადგანაც დღემდე დამახსომა თავი იმ წამმა,
როდესაც ვნახე, საკვირველად, ჰო საკვირველად,
ჩვილობის შემდეგ მამას როგორ შეხვდი პირველად
და სიკვდილის წინ ცოცხალს როგორ ელაპარაკე!

ფიქრები მეორედ მოსვლაზე

უკვე წარიხოცა,
რაც გემოსა ხორცად,
მაინც რჩები ლოცვად
აბორგებულ სულს,
ნერვები სულ მოცვდა,
ვეღარ ვიტან მოცდას,
არა, არ წამომცდა,
შენთან ყოფნა მსურს!
გზა-გზა კითხვა დამსდევს,
ვიდრე დავიმადეთ,
რაც ვიყავით მანამ,
ანდა უფრო ადრე,
ის ვიქნებით განა,
როცა მოვალთ კვლავ და
გამომიწვდი მკლავს?
შეწევნითა ღვთისა,
თუ დავბრუნდით ისევ,
რომ ვერ მიცნო მყისვე,
ამის ფიქრი მკლავს!

ალექსანდრე შენგელია

სურათზე: კორნელი სანაძე. „მაკა ლოსაბერიძის პორტრეტი“.

დედამიწის ზურგზე

ევროკომისიის ხელმძღვანელმა განაცხადა რუსეთის წინააღმდეგ სანქციების მომავალი გახანგრძლივების შესახებ

„ამ მომენტისათვის აშკარად ცხადია, რომ ივნისში ჩვენ გავაგრძელებთ სანქციებს. მაგრამ მომდევნო ექვსი თვის განმავლობაში არ შევწყვეტთ მონიტორინგს, რათა გავიგოთ, არის თუ არა საკმარისი პროგრესი მინსკის შეთანხმებათა შესრულებაში იმისთვის, რომ მოიხსნას სანქციები“, — თქვა ჟან-კლოდ იუნკერმა.

პუტინი შეხვდება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მინისტრს, რომელიც იბრძვის რუსეთის წინააღმდეგ სანქციების გაუქმებისათვის, იტყობინება გერმანული პრესა

გამომცემლობა Rheinische Post-ის მონაცემებით, რუსეთის პრეზიდენტის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ვიცე-კანცლერთან, ეკონომიკისა და ენერგეტიკის მინისტრთან ზიგმარ გაბრიელთან შეხვედრა გაიმართება მომავალი კვირის დასაწყისში. ადრე ისინი ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვში 2015 წლის ოქტომბერში. გაბრიელის ამჟამინდელი ვიზიტი რუსეთის ფედერაციაში გაიმართება გერმანიის მმართველი კოალიციის შიგნით გაზრდილი უთანხმოების ფონზე რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის გამო.

ჩინეთის ხელისუფლებასთან დაკავშირებულმა ჰაკერებმა ყურადღება აშშ-დან რუსეთსა და უკრაინაზე გადაიტანეს

ჩინეთის ხელისუფლებამ შეწყვიტა მასობრივი ჯაშუშობა ამერიკის შეერთებული შტატების სასარგებლოდ მას შემდეგ, რაც ქვეყნებს შორის დაიდო შეთანხმება კიბერჯაშუშობაზე უარის თქმასთან დაკავშირებით. მას შემდეგ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას გაუჩნდა ახალი მიზნები, მათ შორის რუსეთისაც.

სოროსმა განაცხადა რუსეთის მომავალ მსოფლიო სახელმწიფოდ გადაქცევის შესახებ ევროკავშირის დაშლის ფონზე

ამერიკელ მილიარდერ ჯორჯ სოროსს მიაჩნია, რომ ასე ყვავდებოდა ევროპა, როდესაც დაიწყო საბჭოთა კავშირის დაშლა. ივნისის დასაწყისში ფინანსისტი გვაფრთხილებდა ევროკავშირის შესაძლო დაშლის შესახებ სამიგრაციო კრიზისთან, საბერძნეთის გახანგრძლივებულ პრობლემებთან და დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან შესაძლო გამოსვლასთან დაკავშირებით.

გამოძიების ფედერალურმა ბიურომ გამოაქვეყნა ორლანდოდან მსროლელის ზარების სრული გაშიფვრა - ისლამური სახელმწიფოსა და აღ-ბაღდადი-საღმი ერთგულების ფიცი

მარტინი ორჯერ მოხვდა გამოკვლევების ფედერალური ბიუროს მეთვალყურეობის ზონაში 2013 და 2014 წლებში, მაგრამ ორივე შემთხვევაში გამოკვლევა დაიხურა, ეჭვმიტანილი გაუშვეს, ვინაიდან გამომძიებლებმა, როგორც გამოძიების ფედერალური ბიუროს პრესმდივანმა აღნიშნა, „ვერ შეძლეს ზუსტად დაედგინათ მისი გამონათქვამების აზრი“. კლუბ Pulse-ში დახვრეტის შემდეგ მან დარეკა 911-ში და თავს ისლამის ჯარისკაცი უწოდა.

აშშ-მა მიიწვია რუსეთი და არქტიკული საბჭოს სხვა წევრები, მიიღონ მონაწილეობა ARCTIC CHINOOK-ის სწავლებაში

მანევრების დროს ორგანიზატორები მოახდენენ კრუიზული ხომალდის მონაწილეობით იმ ინციდენტის ინსცენირებას, რომელიც მიგვიყვანს წარმოსახვით კატასტროფასთან და „მგზავრების კრიტიკულ, სერიოზულ და მსუბუქ დაჭრასთან“. სწავლების მონაწილეთა წინაშე დასახავენ ხომალდიდან ადამიანების ევაკუირების ამოცანას. მიწვეულია რვავე არქტიკული სახელმწიფო.

აშშ-ის სენატმა დაიწუნა ინიციატივა იარაღზე კონტროლის გამკაცრების შესახებ ორლანდოში სროლების შემდეგაც კი

დემოკრატიულ პარტიაში განაცხადეს, რომ ზომები იარაღის გაყიდვის შეზღუდვის შესახებ დაბრაკეს რესპუბლიკელებმა, რომლებიც ღებულობენ ბრძანებებს ეროვნული სასროლო ასოციაციიდან. რესპუბლიკურ პარტიაში საპასუხოდ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ეძებენ არა ნახევარზომებს, არამედ რეალურ გადაწყვეტილებებს.

ჭეშმარიტი მამულიშვილი და დიდი პროფესიონალი

ქართული ტექნიკური ინტელიგენციის ღირსეულ და თვალსაჩინო წარმომადგენელს, სახელოვან მამულიშვილსა და გეოლოგთა და ენერგეტიკოსთა თაობების აღმზრდელს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორს, საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის აკადემიკოსს **რევაზ თევზაძეს** დაბადების 85 და სამეურნეო, სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის 65 წელი შეუსრულდა.

რევაზ თევზაძემ 1950 წელს დაამთავრა ქუთაისის მეორე ვაჟთა სკოლა. 1955 წელს – საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი ნავთობისა და გაზის საბადოების ბურღვის სპეციალობით, 1965 წელს კი – იმავე ფაკულტეტის ასპირანტურა.

მის მიერ განვლილი ცხოვრების გზა რიგითი გეოლოგიდან საქნავთობის მმართველამდე და საბჭოთა კავშირის სოციალისტური შრომის გმირამდე შესანიშნავი მაგალითია ახალგაზრდა თაობებისთვის, თუ როგორ უნდა ემსახურო დარგსა და ქვეყანას.

ჯერ კიდევ ახალგაზრდა ინჟინრის ამპლუაში, საწარმოო გამოცდილება მიიღო გროზნოსა და აზერბაიჯანის ნავთობის საბადოების სარეწაოებზე, დაშქესანის „ზაგლიკის“ ალუმიტების საბადოზე, სამხრეთ ოსეთის „კვაისისა“ და „ერწოს“ საბადოებზე.



1955 წლიდან 17 წლის განმავლობაში ბატონი რევაზ თევზაძე მუშაობდა იმ პერიოდში საქართველოში არსებული საკავშირო დაქვემდებარების ტრესტების „კავკასიის ფერადი ლითონების ძიების“, „საქნახშირმადნეულის“ და „საქგეოლოგიის“ სამმართველოს სისტემების გეოლოგია-საძიებო პარტიებში სხვადასხვა თანამდებობაზე. ხელმძღვანელობა „შაორის“, „მადნეულისა“ და „ფოლადაურის“ გეოლოგიურ-საძიებო პარტიებს და საქართველოს ფერადი ლითონების კომპლექსურ გეოლოგიურ-საძიებო ექსპედიციას. აღნიშნულ ექსპედიციაში შემავალი 35-მდე გეოლოგიური პარტია საძიებო სამუშაოებს აწარმოებდა აჭარაში, აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში, სვანეთში, რაჭა-ლეჩხუმში, საქართველოს აღმოსავლეთ და დასავლეთ რეგიონებში.

ბატონი რევაზ თევზაძე 1973 წელს დაინიშნა „საქნავთობის“ მმართველად და 2004 წლამდე ხელმძღვანელობდა ნავთობისა და გაზის მრეწველობის განვითარებას საქართველოში.

განსაკუთრებული, ცალკე აღნიშვნის ღირსია იმ სამი სამრეწველო მნიშვნელობის საბადოს გეოლოგიური ძიების დადებითი შედეგები, რომელთა ხელმძღვანელობას, საერთო ჯამში ბატონი რევაზის ნაყოფიერი ცხოვრების 47 წელი დასჭირდა.

პირველი – ეს იყო „შაორის“ ნახშირის საბადოს მარაგების დაძიება, გამოთვლა და დამტკიცება, ტყიბულის ნახშირის საბადოს გაგრძელებაზე – მუხურა-მუჯურეთის მიმართულებით, რასაც იგი 6 წელი ხელმძღვანელობდა.

მეორე – ეს გახლავთ „მადნეულის“ კომპლექსური (ძირითადი – სპილენძი: ნახევარლითონები და იშვიათი ლითონები, ოქრო, ბარიტი და ა. შ.) საბადოს მარაგების დაძიება, დადგენა, გადათვლა და დამტკიცება – მარაგების საკავშირო კომიტეტში. ამისთვის საჭირო გახდა კაპიტალური სამთო გამონამუშევრების გაყვანა, იქიდან აღმავალი შურფების, ვერტიკალური ჭაბურღილების მშენებლობა და ა. შ.

მადნეულის საბადო მარაგების დამტკიცება დაედო საფუძვლად ახალი ქალაქის „მადნეულისა“ და სამთო-მამდიდრებელი კომბინატის მშენებლობას. ამ საქმეში 10 წელი უხელმძღვანელა ბატონმა რევაზ თევზაძემ, რითაც მან 39 წლის ასაკში სოციალისტური შრომის გმირის წოდება დაიმსახურა. სხვათა შორის, იგი საქართველოს გეოლოგიურ საზოგადოებაში ერთადერთი, პირველი და უკანასკნელია, ვინც ეს ჯილდო მიიღო.

მესამე და ყველაზე ძირითადი საბადოები – ეს გახლავთ სამგორის, ნინოწმინდა-პატარძეულის, სამგორის სამხრეთი თაღის ნავთობისა და გაზის საბადოები თბილისის შემოგარენში. ამ ახალი საბადოების გახსნამ საფუძველი დაუდო საქართველოში ნავთობისა და გაზის მრეწველობის აღმავლობას. ნავთოის ყოველწლიური მოპოვება 16,5 ათასი ტონიდან გაიზარდა 3 მილიონ 300 ათას ტონამდე, ხოლო 2004 წლამდე საქნავთობის მიერ მოპოვებული 27 მილიონ 300 ათასი ტონის ქართული ნავთობიდან 26 მილიონი ტონა ბატონი რევაზის ხელმძღვანელობის პერიოდზე მოდის – ეს პერიოდი კი ზუსტად 31 წელია.

იგი „საქნავთობის“ უცვლელი ხელმძღვანელი იყო 31 წლის მანძილზე, ანუ 1973-2004 წელი.

ყველაზე მთავარი დამსახურება, რაც საქნავთობის კოლექტივმა ბატონი რევაზის ხელმძღვანელობით იმ პერიოდში შეძლო, ის არის, რომ აღნიშნული საბადოების გახსნით, პრაქტიკულად, დაამტკიცა: **საქართველოს ბარაქიანი მიწის წიაღი სხვა მრავალი წიაღისეულის სიმდირეებთან ერთად შეიცავს „შავი ოქროს“ სამრეწველო მნიშვნელობის საბადოებსაც, რითაც წერტილი დაესვა იმ „ვაისპეციალისტებისა“ და „კეთილის მოსურნეთა“ ისტერიულ უიმედობას, რომელსაც ისინი ჩვენს ქვეყანაში ავრცელებენ ნავთობისა და გაზის „საბადოების“ არარსებობასთან დაკავშირებით.** ქართული ნავთობის მოპოვების ტემპის აღნიშნული საბადოებიდან ყოველწლიურმა მატებამ საჭირო გახადა ჯერ რკინიგზის ახალი ესტაკადების მშენებლობის საჭიროება სამგორის შემოგარენში, შემდგომში კი გაიყვანეს 440 კმ სიგრძის კაპიტალური ნავთობსადენი სამგორი-ხაშური-ბათუმი.

ქართული მენავთობეობის აღმავლობას უკავშირდება სუფსის ნავთობის ტერმინალის მშენებლობის იდეაც.

ბატონი რევაზი სამი ათეული წლის მანძილზე ეწეოდა სამეცნიერო პედაგოგიურ მოღვაწეობას საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ნავთობის ბურღვის კათედრაზე, სადაც აირჩიეს ჯერ დოცენტად, ხოლო შემდეგ – პროფესორად.

რევაზ თევზაძე 1975-2004 წლებში იყო საქართველოს ნავთობისა და გაზის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების თავმჯდომარე, საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი, საქართველოს გეოლოგიური სამეცნიერო ტექნიკური საზოგადოების წევრი. მინიჭებული აქვს „საქართველოს დამსახურებული ინჟინრის“ და „საქართველოს ნავთობისა და გაზის საპატიო მუშაკის“ წოდებები.

გეოლოგიის დარგში უდიდესი მიღწევების მოპოვებისთვის მის მიერ გაწეული შრომა ჯეროვნად დაფასა ხელისუფლებამ: მიენიჭა საბჭოთა კავშირის უმაღლესი ჯილდო – სოციალისტური შრომის გმირის წოდება, დაჯილდოვდა ლენინის ორდენითა და ოქროს ვარსკვლავით „ნამგალი და ურო“, მიღებული აქვს „შრომის წითელი დროშის“ ორი ორდენი, „ღირსების“ ორდენი და მრავალი მედალი.

ჭეშმარიტ მამულიშვილსა და დიდ პროფესიონალს, ბატონ რევაზ თევზაძეს ვულოცავთ 85 წლის იუბილეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ახალ წამოწყებებს ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

საქართველოს ენერგეტიკის აკადემია;
საქართველოს საინჟინრო აკადემია;
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

ნავთობის მრეწველობის პატრიარქი

ადამიანის განმსაზღვრელი სხვა რაღა შეიძლება იყოს, გარდა მისი ცხოვრების წესისა?! მხოლოდ აქედან შეიძლება მისი დანახვაც და შეფასებაც. კერძოდ, თუ რამდენად მოახდინა მან მარადიულთან ზიარება, ნათელსა და ბნელს, კეთილსა და ბოროტს, სიყვარულსა და სიძულვილს შორის ზღვარის გავლება და, შესაბამისადაც არჩევანის გაკეთება. კეთილგანწყობილება, ღიაობა, თვითორგანიზებულობაა სწორედ ის პიროვნული ნიშნები, რომლის მეშვეობითაც ხდება საზოგადოებრივი ტიპის ადამიანის ფორმირება.

რევაზ თევზაძე!

„იმდენი რამე გადავიტანე, რომ ხნიერი ვარ საკუთარ თავზე“ – ბაირონის ამ სტრიქონს ბ-ნ რევაზთან მიმართებაში უფრო ასეთი გახმოვანება შეეფერებოდა: „იმდენი რამე გავაკეთე, რომ ხნიერი ვარ საკუთარ თავზე!“

დიახ, მას ქართული ნავთობის მრეწველობის პატრიარქს უწოდებენ. ორმოც წელზე მეტი წარმატებით უხელმძღვანელა „საქნავთობს“. პრაქტიკულ საქმიანობასთან, საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ ჩართულობასთან და სამეცნიერო მოღვაწეობასთან ერთად შინაგანი წონასწორობის შენარჩუნების უნარმა პროფესორების, ენერგეტიკის აკადემიის აკადემიკოსების, შრომის გმირობის პარალელურად ერთგული მეუღლის, მოსიყვარულე მამის, ბაბუის, მეგობრისა და მაღალი მოქალაქეობრივი პათოსით გამსჭვალული ადამიანის ტვირთის ტარებაც ღირსეულად შეაძლებინა. დღევანდელი მისი შემართება თუ საზოგადოებისთვის საამაყოა, მისთვის ჩვეულებრივზე ჩვეულებრივია. ამიტომაცაა იგი დიდი ადამიანი. ამიტომაც ეთქმის მადლობა!

წინა საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან დღემდე საქართველოში მოპოვებული ნავთობის თითქმის 80 პროცენტზე მეტი ბ-ნ რევაზ თევზაძის ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობითაა მოპოვებული. მის სახელთანაა დაკავშირებული სამგორი-პატარძეული-ნინოწმინდის უნიკალური ნავთობის საბადოს გახსნა. უფრო მეტიც, ფასდაუდებელი შრომის გაწევა დასჭირდა მას, იმისთვის, რომ მადნეულის ოქროს საბადო გაეხსნა და მარაგები ოფიციალურად დამტკიცებულიყო. მაშინ შეუსრულდა ბ-ნ რევაზს 39 წელი. ეს არის მისი ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პერიოდი. ქვეყნის ეკონომიკისა და სოციალური განვითარების პროცესში ჩართულობა ყოველთვის მისი ადამიანური არსებობის აზრად იყო და არის ქცეული.

ვინ იცის, რამდენი წინააღმდეგობები დაიძლია იმისთვის, რომ აშენებულიყო „მენავთობეთა დასახლებები“. ღირდა, ნამდვილად ღირდა! რადგან ძალიან, ძალიან ბევრი ადამიანი გაბედნიერდა ახალმოსახლეობით, ახალი ჭერით, ოჯახის შექმნის შესაძლებლობებითაც.

ბ-ნი რეზოს მომავალზე ზრუნვის დაუოკებელი სურვილის შედეგად დაფინანსდა მაშინდელი პოლიტექნიკური ინსტიტუტის მრავალსართულიანი კორპუსი, გაიხსნა ახალი სპეციალობები და ა. შ.

წარსული დიდ გამოცდილებად რომ აქციო, მიესაბაძი და საამაყო რომ იყოს შენი ცხოვრება, მაშინ აუცილებლად უნდა გავეცნოთ ღირსეული ადამიანების ცხოვრებას. მათ შორისაა ბ-ნი რევაზ თევზაძე. ხანგრძლივი სიცოცხლე ვუსურვოთ მას. მისგან კი დაე, ისწავლონ ახალგაზრდებმა სად, როგორ წაიღონ ენერგია, რაში განთავსდეს შრომა და რითი შეიძლება შეწვდე ბედნიერებას.

ბატონო რევაზ!

დიდი მადლობა ყველაფრისთვის, მადლობა, რომ ათეული წლების განმავლობაში გვატარეთ სწორი და მართალი გზით. დიდხანს სიცოცხლე, ჯანმრთელობა და ულევი ბედნიერება, მრავალჟამიერ!

ყოფილი „საქნავთობის“
თანამშრომლები

კაცობა შენ დაიტრაბახე...

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები დემურ მიქაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულია, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, როლანდ იოსელიანი, ჯუმბერ გონაშვილი, რევაზ არველაძე, გია მახარაძე, ომარ ცაავა, გია რამიშვილი, ვალერი ვარდოსანიძე დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ულოცავენ ამავე საზოგადოების თავმჯდომარეს, საქართველოს გეოლოგიური საზოგადოების ბრწყინვალე წარმომადგენელს, საქართველოს ნავთობისა და გაზის მრეწველობის ყოფილ თავკაცს, საქართველოს ენერგეტიკისა და საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, სოციალისტური შრომის გმირს, ჭეშმარიტ მამულიშვილსა და შესანიშნავ პიროვნებას ბატონ **რევაზ თევზაძეს** დაბადების 85 წელს და სამეურნეო, სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის 65 წელს.

შენ არასოდეს არ დაბერდები!

ბაბუ, როგორი უბრალო და მშრალია სიტყვა შენი პიროვნების გადმოსაცემად. შენ არასდროს ყოფილხარ მხოლოდ ბაბუა. შენ ხარ ჩვენი პირველი მეგობარი, სიხარულის უწყვეტი წყარო, მისაბაძი მაგალითი, განძი, რომელიც წარუშლელი დარჩება ჩვენს გულსა თუ გონებაში. ჩვენ შენს სითბოზე და მზრუნველობაზე შეყვარებული შვილიშვილები და შვილები ვართ. შენ იმაზე კარგად იცი როგორ გვიყვარხარ, ვიდრე ეს სიტყვებით შეიძლება გადმოიცეს. 85 წლის გახდი, თუმცა, შეგიძლია იყო 23-ის, როცა მე მჭირდები – 17-ის, როცა სანდროს და ნიკუშას – 8-ის, როცა ტასიკოს... გილოცავთ დაბადების დღეს! შენ არასდროს არ დაბერდები!

შენი შვილიშვილები: ტასო, ნინი, ნიკუშა, სანდრო და შვილები ზაზა, ნინო, ნიკო, ანი.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ლაშა სიორდიას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ლაშა სიორდია (პ/ნ 42001038058), ფოთი, ნ. ვაჩნაძის ქ. 27, ბინა №8; ფოთი, ილიას ქ. №47.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ფოთი, ილიას ქ. №47 (საკადასტრო კოდი: 04.01.12.010).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 10028.21 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2016 წლის 22 ივნისი, 12:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2016 წლის 12 ივლისი, 13:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP31311216;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 313112

6. **მოვალე:** მერაბ სიორდია (პ/ნ 42001002789), ფოთი, ნ. ვაჩნაძის ქ. 27, ბინა №8; ფოთი, ილიას ქ. №47;
მიხეილ სიორდია (პ/ნ 42001038038), ფოთი, ნ. ვაჩნაძის ქ. 27, ბინა №8; ფოთი, ილიას ქ. №47.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP31311216; ლოტის ნომერი: 313112).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 11 ივლისის, 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს დავით ხონელიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** დავით ხონელიძე (პ/ნ 53001059584), წყალტუბო, ს. ოფშკვითი მე-18 ქ. №1.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
წყალტუბო, ს. ოფშკვითი (საკადასტრო კოდი: 29.16.34.311).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 9492.99 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2016 წლის 22 ივნისი, 12:00 საათი.

4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2016 წლის 12 ივლისი, 13:30 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP31312016;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 313120

6. **მოვალე:** რამინ ხონელიძე (პ/ნ 53001013393), წყალტუბო, ს. ოფშკვითი მე-18 ქ. №1;
ინგა ხონელიძე (პ/ნ 53001013394), წყალტუბო, ს. ოფშკვითი მე-18 ქ. №1;
მალხაზ ჭელიძე (პ/ნ 60003011314), ქუთაისი, ძნელაძის ქ. №6.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP31312016; ლოტის ნომერი: 313120).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 11 ივლისის, 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ცხადაიას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** დავით ცხადაია (პ/ნ 42001018062), ფოთი, მარჯანიშვილის 90.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ქ. ფოთი, სამეგრელოს ქ. 26, სართული 4, ბინა №37 (საკადასტრო კოდი: 04.01.04.027.01.037).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 9590.84 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2016 წლის 22 ივნისი, 12:00 საათი.

4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2016 წლის 12 ივლისი, 14:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP31312116;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 313121

6. **მოვალე:** დავით ცხადაია (პ/ნ 42001018062), ფოთი, მარჯანიშვილის 90;
ბონდო ცხადაია (პ/ნ 42001025338), ფოთი, მარჯანიშვილის 90.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP31312116; ლოტის ნომერი: 313121).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 12 ივლისის, 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს გიორგი კობახიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გიორგი კობახიძე (პ/ნ 01008014545), თბილისი, სერგო ზაქარიაძის ქ. №11, ბინა №8;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
თბილისი, სერგო ზაქარიაძის ქ. №11, ბინა №8, 71.43კვ.მ. (საკადასტრო კოდი: 01.10.15.002.002.01.008).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 68784.82 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების დრო:** 2016 წლის 12 ივლისი, 11:00 საათი;

4. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

5. **მოვალე:** გიორგი კობახიძე (პ/ნ 01008014545), თბილისი, ს. ზაქარიაძის ქ. №11, ბინა №8;

6. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

7. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 12 ივლისის 11:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს თემურ ტარუღიშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** თემურ ტარუღიშვილი (პ/ნ 01027034923), მის: თბილისი, მუხაძის ქ. 6/8, ბინა №12;
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
თბილისი, მუხაძის ქ. №6/8, პირველი სადარბაზო, მე-4 სართული, ბინა №12 (საკადასტრო კოდი: 01.19.17.011.010.01.012);
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 74885,50 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების დრო:** 2016 წლის 12 ივლისი, 12:30 საათი;

4. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

5. **მოვალე:** ი/მ „დავით ტარუღიშვილი“ (პ/ნ 01027004059), მის: თბილისი, მუხაძის ქ. №6/8, ბინა №12;
თემურ ტარუღიშვილი (პ/ნ 01027034923), მის: თბილისი, მუხაძის ქ. 6/8, ბინა №12;
დავით წიკლაური (პ/ნ 14001004192), მის: თბილისი, გლდანი, მე-6 მ/რ, კორპ. 27, ბინა 117;
ლევან ჩაჩანიძე (პ/ნ 01027022617), მის: თბილისი, ვარკეთილის მასივი, ზემო პლატო, II მ/რ, კორპუსი 12, ბინა №4.

6. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

7. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 12 ივლისის 12:30 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ოთარ სირაძის, ვლადიმერ სირაძის და თათია სირაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ოთარ სირაძე (პ/ნ 33001070556), ვლადიმერ სირაძე (პ/ნ 33001062434) და თათია სირაძე (პ/ნ 33001074905), ოზურგეთი, სოფელი ვაკიჯვარი.
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: ოზურგეთი, სოფელი ვაკიჯვარი (საკადასტრო კოდი: 26.21.15.069).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 5387.11 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2016 წლის 22 ივნისი, 12:00 საათი.

4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2016 წლის 12 ივლისი, 14:30 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP31312216;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 313122

6. **მოვალე:** ოთარ სირაძე (პ/ნ 33001070556), ოზურგეთი, სოფელი ვაკიჯვარი.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.

8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP31312216; ლოტის ნომერი: 313122).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 11 ივლისის, 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ია ქურდაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთების მესაკუთრე:** ია ქურდაძე (პ/ნ 01024011649), მის: თბილისი, გრიშაშვილის ქ. №45, ბინა №12;

უძრავი ნივთების ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
თბილისი, ბაგების სატყეო უბანი (ნაკვ. 8/175), სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი 1000კვ.მ. (საკადასტრო კოდი: 01.14.09.008.175);

თბილისი, გრიშაშვილის ქ. №45, ბინა №12, 67.30კვ.მ. (საკადასტრო კოდი: 01.18.04.013.005.01.012).

უძრავი ნივთების სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთები არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.
2. **უძრავი ნივთების საწყისი ფასი:** 68567 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების დრო:** 2016 წლის 12 ივლისი, 12:00 საათი;
4. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;
5. **მოვალე:** შპს „გუნო“ (ს/კ 204866109), მის: თბილისი, ქავთარაძის ქ. 21ა.
6. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

7. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 12 ივლისის 12:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ბიჭიკო გურულის და რევაზ მარგველაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ბიჭიკო გურული (პ/ნ 60001047450), მის: ქ. ქუთაისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №125, ბინა №74;
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ქ. ქუთაისი, დ. აღმაშენებლის გამზ. (ყოფ. შმიდტის ქ.) №125 (№69ა), ბინა №74 (საკადასტრო კოდი: 03.04.01.076.01.074).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.
2. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** რევაზ მარგველაშვილი (პ/ნ 60002012640), მის: ქ. ქუთაისი, ფარნავაზ მეფის ქ. №115;
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ქ. ქუთაისი, ფარნავაზ მეფის ქ. №115 (ყოფ. ორჯონიკიძის ქ. №85ა) (საკადასტრო კოდი: 03.04.31.182).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.
2. **უძრავი ნივთების საწყისი ფასი:** 24703,99 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების დრო:** 2016 წლის 12 ივლისი, 11:30 საათი;
4. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;
5. **მოვალე:** შპს „HOTSERVICE“ (ს/კ 412675662), მის: ქუთაისი, ფარნავაზ მეფის №115;
რევაზ მარგველაშვილი (პ/ნ 60002012640), მის: ქ. ქუთაისი, ფარნავაზ მეფის ქ. №115;
კობა გურული (პ/ნ 60001024596), მის: ქ. ქუთაისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №125, ბინა №74;
მერაბ დვალი (პ/ნ 60001086162), მის: ქ. ქუთაისი, რ. თაბუკაშვილის 177, ბინა 3;
გიგა სვანაძე (პ/ნ 60001030020), მის: ქ. ქუთაისი, ლ. კოხრეიძის ქ. №18;
მანუჩარ ახალაძე (პ/ნ 49001006441), მის: ქ. ქუთაისი, ჩიქოვანის ქ. №2;
დავით მოსიაშვილი (პ/ნ 60001073582), მის: ქ. ქუთაისი, ვ. ანჯაფარიძის ქ. №28.

6. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

7. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 12 ივლისის 11:30 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

◎ ფეხბურთი

იწყება ახალი საკლუბო ევროსეზონი



შვეიცარიის ქალაქ ნიონში, უეფას შტაბ-ბინაში გაიმართა პოპულარული საკლუბო ტურნირების სასტარტო რაუნდების კენჭისყრა.

მოგეხსენებათ, თბილისის „დინამო“ ჩემპიონთა ლიგაში II საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჩაერთვება, სადაც 12 ან 13 და 19 ან 20 ივლისს, შესაბამისად, შინ და სტუმრად, ანდორას „სანტა კოლომასა“ და სომხეთის „ალაშკერტს“ შორის გამარჯვებულს შეხვდება.

რაც შეეხება ევროპის ლიგაში მოასპარეზე ქართულ ტრიოს, მისი მეტოქენი პირველ და, წარმატების შემთხვევაში, მეორე ეტაპებზე, იქნებიან:

„გაბალასა“ (აზერბაიჯანი) და „სამტრედიას“ შორის გამარჯვებული — „აქტობესა“ (ყაზახეთი) და მტკ-ს (უნგრეთი) შორის გამარჯვებული.

„დილასა“ და „შირაქს“ (სომხეთი) შორის გამარჯვებული — „სპარტაკ ტრნავასა“ (სლოვაკეთი) და „ჰიბერნიანსს“ (მალტა) შორის გამარჯვებული.

„ჩიხურასა“ და „ზიმბრუს“ (მოლდოვა) შორის გამარჯვებული — „ოსმანლისფორი“ (თურქეთი).

დავძენთ, რომ პირველი ეტაპის მატჩები 30 ივნისსა და 7 ივლისსაა დანიშნული, ხოლო მეორესი — 14 და 21 ივლისს.

გიორგი ზოთაძე

◎ ციფრების ენით

რა ღირს ნაკრები?

საფრანგეთში ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე საიტმა www.transtermarkt.de-მ კონტინენტის 24 უძლიერესი ნაკრები გუნდის მოთამაშეთა საბაზრო ღირებულების ჯამური მონაცემები გამოაქვეყნა.

ევროპის საფეხბურთო ფიესტის დაწყებამდე ყველაზე „ძვირიანი“ ნაკრები ესპანეთს ჰყავდა, რომლის ერთად აღებული ყველა მოთამაშე 592 მილიონ ევროდ იყო შეფასებული. დანარჩენი ეროვნული გუნდების ნიხრი კი ასეთია („ფასები“ მილიონი ევროთია მითითებული): 2. გერმანია (568); 3. საფრანგეთი (487); 4. ინგლისი (477); 5. ბელგია (460,9); 6. პორტუგალია (321,7); 7. ხორვატეთი (288,3); 8. იტალია (263,5); 9. პოლონეთი (193,5); 10. თურქეთი (182,5); 11. შვეიცარია (174,9); 12. უელსი (170,1); 13. რუსეთი (136,2); 14. ავსტრია (128,4); 15. უკრაინა (123,6); 16. ირლანდია (87,3); 17. შვედეთი (86,9); 18. სლოვაკეთი (84,4); 19. ჩეხეთი (66,0); 20. რუმინეთი (54,7); 21. ალბანეთი (46,2); 22. ისლანდია (41,6); 23. ჩრდილოეთ ირლანდია (38,1); 24. უნგრეთი (27,3).

* * *

რუსეთის ნაკრებმა ჯგუფური რაუნდი ბოლო ადგილზე დასრულა და შინ შერცხვენილი ბრუნდება, თანაც — უმწვრთნელოდ, რადგან ლეონიდ სლუცკი გადადგა.

III ტური. უელსი — რუსეთი 3:0, ინგლისი — სლოვაკეთი 0:0.

„ბ“ ჯგუფის საბოლოო მდგომარეობა: უელსი — 6, ინგლისი — 5, სლოვაკეთი — 4, რუსეთი — 1 ქულა.

ოთარ ტურაბელიძე

◎ რაგბი

„ბორჯღალოსნებმა“ აპენინელებს აჯობეს

საქართველო — იტალია 18:17

საქართველო: ირაკლი სვანიძე, ლადო მიმინოშვილი, გიორგი კოშაძე, გიორგი კვესელაძე, დავით მესხი, დავით მოძღვრიშვილი, ვასილ ლობჟანიძე. თორნიკე მატარაძე, ლაშა საჯაია, ლაშა ტაბიძე, მიხეილ ბაბუნაშვილი, ირაკლი ცხადაძე, ილია სპანდერაშვილი, გიორგი ცუცქირიძე, ბექა გორგაძე, გიორგი ხუროშვილი, უშანგი ჭეიშვილი, გიორგი მელიქიძე, დემურ ეფრემიძე, გიორგი ფუტკარაძე, გელა აფრასიძე, მირიან მოდებაძე, სანდრო ილურიძე.

იტალია: მატეო მინოზი, ლორენცო მასატო, მარკო ზანონი, დარიო სკიაბელი, ლუკა სპერანდო, ლეონარდო მანტელი, რიკარდო რაფაელი. დანიელ რიმპელი, ენჯელ მაკელარა, მარკო რიჩიონი, ლეონარდ კრუმოვი, დავიდე ფრანიტო, ლორენცო მასელი, ჯოვანი პეტინელი, ჯოვანი ლიკატა. მარკო მანფრედი, დამიანო ბორეანი, ჯოშუა ზილოკი, ჯორდანო ბალდინო, დავიდე ცოტოლი, ჩარლი ტრუსარდი, რობერტო დალცილიო, ანდრეა ბრონზინი.

ინგლისში 25 ივნისს დამთავრდება ახალგაზრდა მორაგბეთა მსოფლიო ჩემპიონატი. ფინიშამდე რამდენიმე დღით ადრე საქართველოს ნაკრებმა ამ დიდ ფორუმზე პირველი გამარჯვება იზეიმა — მე-9 ადგილისთვის პაექრობაში იტალიის ნაკრებს 18:17 მოუგო. „უმცროსმა ბორჯღალოსნებმა“ ორი ერთმანეთისგან განსხვავებული ტაიმი ითამაშეს. შეხვედრის პირველ წუთებში იტალიელებმა სახიფათოდ შემოგვიტიეს, ქართველებმა აპენინელთა იერიშები მოიგერიეს და მე-16 წუთზე თორნიკე მატარაძემ ლელო გაიტანა. 14 წუთის შემდეგ იტალიელები წინ გავიდნენ — ლელოც გაგვიტანეს და გარდასახვაც უნაკლოდ შეასრულეს — 7:5. პირველი ტაიმიც ასე დამთავრდა.

შესვენების შემდეგ ქართველთა უპირატესობა აშკარა იყო, ორი ლელოც გაიტანეს, მაგრამ ჩვენების თამაშში ხარვეზებიც შეიმჩნეოდა. ამის მიუხედავად, „უმცროსმა ბორჯღალოსნებმა“ საბოლოოდ 18:17 გაიმარჯვეს. მე-9 ადგილისთვის ჩვენები საფრანგეთს დაუპირისპირდებიან. ამ უკანასკნელმა იაპონიას აჯობა - 41:27.

V ადგილისთვის

ახ.ზელანდია — უელსი 71:12,

შოტლანდია — ავსტრალია 19:35.

ნახევარფინალი

ინგლისი — სამხრ.აფრიკა 39:17,

ირლანდია — არგენტინა 37:7.

25 ივნისს ბოლო მატჩები გაიმართება:

XI ადგილისთვის. იტალია — იაპონია,

IX ადგილისთვის. საქართველო-საფრანგეთი,

VII ადგილისთვის. უელსი — შოტლანდია,

V ადგილისთვის. ახ.ზელანდია — ავსტრალია,

III ადგილისთვის. არგენტინა — სამხრ.აფრიკა,

ფინალი. ირლანდია — ინგლისი.

ლაშა დიდია

◎ კალათბურთი

„რეალმა“ „ბარსას“ მოუგო

ესპანეთის საკალათბურთო ჩემპიონატის ფინალური სერიის მესამე შეხვედრაში „რეალმა“ შინ „ბარსელონას“ 91:74 აჯობა და სერიაში 2:1 დაწინაურდა. მადრიდელებმა პირველი სამი პერიოდი დამაჯერებლად მოიგეს და კატალონიელები მთელი შეხვედრის განმავლობაში მდევრის როლში იყვნენ.

მატჩში ყველაზე მეტი 21 ქულა „რეალის“ გამთამაშებელმა სერხიო ლულმა ჩააგდო. „ბარსელონაში“ 18 ქულით ანტე ტომიჩი გამოირჩა.

სერია სამ მოგებამდეა. მომდევნო მეოთხე შეხვედრა მადრიდში დღეს თბილისის დროით 22:30 საათზე დაიწყება.

კობა კობახიძე

◎ ინტერნეტიდან

დანიელა ხარამალიოს კოლუმბიის ნაკრების ეიმედება

გრძელდება კოპა ამერიკა და ფუსფუსებს მთელი ლათინური ამერიკის ლამაზმანობა. მათ გარეშე ხომ ფეხბურთი ისეთივე წარმოუდგენელია, როგორც საერთოდ სამყარო. სხვა ლათინოამერიკულ ნაკრებთა მსგავსად, პირმშვენიერ ქომაგთა სიმრავლე არც კოლუმბიის ეროვნულ გუნდს აკლია.

ცნობილმა მოდელმა და მსახიობმა დანიელა ხარამალიომ მშობლიური ქვეყნის უპირველეს ნაკრებს ჩემპიონატზე გამგზავრების წინ დიდი წარმატება უსურვა და დასძინა, რომ დადგა ჟამი, როდესაც კოლუმბიის ნაკრები მორალურადაც და ფსიქოლოგიურადაც მზადაა დიდი გამარჯვებები მოიპოვოს.

მართლაც, დღეს ეს გუნდი ნახევარფინალში ჩილეს შეხვდება.

ვის ვის და, დანიელა ხარამალიოს არასოდეს შეშლია კოლუმბიელთა ქომაგობა (თუნდაც ეს ნიფხვის სწრაფად შემოძარცვაში გამოიხატოს) და ამ ქვეყნის ნაკრების თილისმადაც სამართლიანად ითვლება. ერთი ისაა, რომ ამ ბოლო დროს ბევრი თავისუფალი დრო აღარ რჩება და თავის სათუთ სხეულს სულ უფრო იშვიათად იშიშვლებს. არადა, ამ ქალის მოცდენა იქნება?

როსტომ რაჭველიშვილი

გულის ჯიბით სატარებელი წიგნები

რამდენიმე წელია, **საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციაა“** გამომცემლობის მთავარი რედაქტორის, ქალბატონ **ლია ნადარეიშვილის** ინიციატივით, უშრეტელი ფანტაზიითა და დახვეწილი გემოვნებით ციცქნა, მართლაც გულისჯიბით სატარებელი წიგნების მეოხებით ქართველ კლასიკოსთა სამყაროში გვამოგზაურებს.

ბევრისთვის, ალბათ, უცხო იყო საზღვარგარეთის ქვეყნებში ტრადიციად ქცეული მინიატიურული ბეჭდვითი პროდუქციის გათავისება, მაგრამ ქართველთა გემოვნებაში მოექცა, ახლა უკვე ტრადიციული სახითაც დამკვიდრდა ამგვარი წიგნების გამოცემა. ქალბატონმა ლიამ შესანიშნავი ჯგუფი შექმნა გემოვნებიანი მკითხველისთვის გულის დასაპყრობი სიახლის მისაწოდებლად — ცნობილი ლიტერატორები, რედაქტორები, მხატვარ-დიზაინერები და... უკვე მკითხველთა მინი-ბიბლიოთეკები ასობით წიგნით შეივსო.

უამრავ ჩვენს თანამემამულესა და მრავალ უცხოელ წიგნისმოყვარულთაც შესანიშნავი საოჯახო ბიბლიოთეკის შექმნის სურვილიც გაუჩნდათ. თანამედროვე ავტორები, უკვდავი ქართული კლასიკა, ნებისმიერი ასაკის მკითხველისათვის საინტერესო წიგნი, ჯადოსნურ ზღაპართა საუნჯე მართლაც მაღალპროფესიონალთა ხელდასხმული, უკვე დავანებულია მრავალ ოჯახში.

სულ ახლახან საშუალება მოგვეცა, კიდევ ერთხელ მიგვაღო ის სიხარული, რითაც მწიგნობართა ასოციაცია ანებივრებს ერთგულ მკითხველს. ეს გახლავთ დიდი **რაფიელ ერისთავის,** ამ მართლაც ჭეშმარიტი მამულიშვილის ლექსები, პოემა და თარგმანები, რომელიც მინიატიურული გამოცემის ხუთასამდე გვერდზეა განთავსებული. წიგნის შემდგენელი და გამოცემის ხელმძღვანელი გახლავთ **შოთა კობიაშვილი,** ხოლო მხატვარი **კარლო ფაჩულია.** რაფიელ ერისთავის თარგმნილ გრეკოვის, კრილოვის, ოგარიოვის, ლერმონტოვის პოეტურ ქმნილებათა გვერდით ინგლისელი პოეტის უილიამ უორდზუორთის შემოქმედებასაც იხილავთ.

მეორე მინიატიურული გამოცემა, რომელიც შეადგინა **ლალი ავალიანმა** და მხატვრულად გააფორმა **გიორგი წერეთელმა** ქართველი ცისფერყანწელის, პოეზიის დენდის, პარიზის „უნივერსიტეტის“ (ხელოვანთა საყვარელი კაფეების) ერთ-ერთი წევრის, სიმბოლისტთა და ავანგარდისტთა მანიფესტების ენციკლოპედისტის პაოლო იაშვილის პოეზიაა. გამოცემას ახლავს ქალბატონ ლალი ავალიანის შესანიშნავი წინასიტყვაობა, ვიტყოდი — მონოგრაფია დიდი პოეტის ცხოვრებაზე, მისი შემოქმედების სრული ანალიზი, პოეტის სულის ამოძახილი. მინიატიურულ კრებულში პოეტის ლექსებთან ერთად შესულია მისი „ფერადი ბუშტები“ (სენტიმენტალური ამბავი) და პუშკინის, მაიაკოვსკის, ბალმონტისა და რემბოს უშესანიშნავესი პოეზიის პაოლოსეული თარგმანები.

სწორედ ამ უნიკალური გამოცემის უშესანიშნავესი მინიატიურები წარმოგიდგინეთ ძვირფასო მკითხველო და იმედიანად ველით ამ წარმატებული პროექტის ახალ შედეგებს.

მამუკა ვაშაკიძე

სევდიანი მილოცვა

ნელი გელაშვილი-გადელია

დღეს შენი დაბადების დღეა, ჩვენო ძვირფასო და საყვარელო ადამიანო — სამოცდათხუთმეტი წლისა გახდებოდი. მაგრამ, ვაგლახ რომ, ოთხი წლის წინათ განერიდე სააქაოს და ერთად ვერ აღვნიშნავთ წლევანდელ 22 ივნისს.

არადა, როგორ ემზადებოდი ამ ლამაზი თარიღისთვის: ვგონებ, ნავსი ტყდება, ჩემი დათო დაქორწინებას აპირებს და სამოცდათხუთმეტი წლისას სულ ცოტა ორი შვილიშვილი მაინც მეყოლებაო, გახარებული გვეუბნებოდი.

მალე აგიხდინა კიდეც ოცნება შენმა კარგმა დედისერთამ — ზაზაძეების ტრადიციულ ოჯახში აღზრდილი ყალმით ნახატის დარი ცქრიალა ქრისტინე მოგგვარა და გაგახარა.

მაგრამ ყველაზე მეტი, ენით აუწერელი სიხარული, ცხადია, შენს ნალოლიავებ ოჯახში თავისი სახელოვანი ბაბუის სეხნიის — პატარა დემურიკოს გაჩენამ განგაცდევინა.

უბედნიერესი იყავი, როცა მას თავს ევლებოდი, სულმოუთქმელად ელოდი, ფეხს როდის აიდგამს და ატიკტიკდება, ბებოს დამიძახებსო, მაგრამ, სამწუხაროდ, რამდენიმე თვესღა გაგრძელდა შენი ბედნიერება, ისე წახვედი, გული ვერ იჯერე მისი ალერსით...

მერე პატარა იოანეც გაჩნდა, ანუ, ბედისწერას რომ ეცლია, სამოცდათხუთმეტი წლისას მართლაც გეყოლებოდა ორი შვილიშვილი, რომელთა მოვლა-ფერებითაც საოცრად გაიხალისებდი და გაილამაზებდი ყოველდღიურობას.

მაგრამ, პოეტისა არ იყოს, მართლაც წამია წუთისოფელი...

უსაზღვროდ დანაღვლიანებულ-დასევდიანებულნი დაბადების დღეს გილოცავთ, ჩვენო ძვირფასო ადამიანო!

ოჯახი, ახლობელ-მეგობრები.

◎ კარგი ამბავი

შოვი, უწერა, ლაშიჭალა - სახელმწიფო რაჭა-ლეჩხუმის ტურისტულ განვითარებას იწყებს

„შოვი, უწერა, ლაშიჭალა, ძუღური, მოაში — რაჭის, ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ტურისტული განვითარებას ვიწყებთ“, — ამის შესახებ სახელმწიფო რწმუნებულმა რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში პაპუნა მარგველიძემ განაცხადა.



„რაჭაში ტურიზმის განვითარების პოტენციალი საკმაოდ დიდია. მისი ათვისებაა საჭირო, ხოლო იმისთვის, რომ ტურიზმი განვითარდეს, პირველ რიგში მოსაწესრიგებელია ტურისტულ ობიექტებამდე მისასვლელი ინფრასტრუქტურა.

რეგიონის განვითარების სტრატეგიული გეგმა არსებობს, სადაც ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის მიმართულებების განვითარება დეტალურად არის გაწერილი.

რაჭაში ბევრი ისტორიულ-კულტურული ძეგლია, სადაც მისასვლელი გზა არ იყო, ახლა დავიწყეთ კეთება. სოფლებში დენისა და წყლის მიყვანაა საჭირო, რის შემდეგ, სასტუმროების ქსელის გამართვა და რაჭაში, ლეჩხუმში და ქვემო სვანეთში არსებული პოტენციალის პოპულარიზაცია უნდა დავიწყოთ“, — განაცხადა მარგველიძემ.

გუბერნატორის თქმით, რაჭაში, ლეჩხუმში და ქვემო სვანეთში, რამდენიმე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია. ასევეა ეკლესიები, თავდაცვითი ნაგებობები, ბუნების ძეგლები, რომელსაც უნიკალური ლანდშაფტი აქვს, სადაც ტურისტს შეესაძლებლობა, აქვს ბევრი რამე ნახოს.

„შაორის ტბაზე სასტუმროს მშენებლობა დაწყებულია. დიდი ინტერესი და სახელმწიფო ინტერესთა გამოხატვაზე გამოაცხადებს კონკურსს, სადაც მონაწილეობას მიიღებენ დაინტერესებული კომპანიები. მოხდება შერჩევა.

შოვის მიმართულებით 2017 წლის ზაფხულისთვის გზა გვექნება. ინფრასტრუქტურის მშენებლობა დაწყებულია. ახლაც არის რამდენიმე სანატორიუმი, მათ შორის თანამედროვე სტანდარტების, რომელსაც ყოველწილურად ბევრი დამსვენებელი ჰყავს. იქ არა მხოლოდ უნიკალური წყლები, არამედ ბალნეოლოგიური დანიშნულების ადგილებია. ფიჭვია გარშემო, რაც განსაკუთრებით მათთვის არის კარგი, ვისაც ბრონქების პრობლემა აქვს.

რაჭაში ასევე არის კურორტი უწერა, რომელიც უნიკალური მინერალური წყლებით არის ცნობილი. ლეჩხუმში — ლაშიჭალა, ძუღური; ლენტეხში — მოაში, სადაც გზისა და დენის პრობლემა იყო. გზის კეთება დავიწყეთ. ვფიქრობთ, წლის ბოლოს დენიც მივა“, — განაცხადა მარგველიძემ.

ნენე სტეფანიშვილი

სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის დირექცია, სამეცნიერო საბჭო, ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ინსტიტუტის ღვაწლმოსილი მუშაკის, ნიჭიერი ინჟინრისა და მეცნიერ-თანამშრომლის, სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის მასშტაბური სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროექტების აქტიური მონაწილის, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის, კარგი მეგობრისა და მეოჯახის

მერაბ ბილისეიშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს. სამოქალაქო პანაშვიდი 21, 22 VI, 17 სთ. გამოსვენება 23 VI, 14 სთ. მისამართი: თბილისი, მოსკოვის გამზირი, კორპ. 45, I სადარბაზო, ბ. 14.

მექრთამე მაღალჩინოსანი დააკავეს

სახელწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს თანამშრომელი თეკლა ხ. დააკავეს.

თეკლა ხ-მ აფხაზეთიდან დევნილ მოქალაქეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსგან ბინის მიღებაში დახმარების სანაცვლოდ მოსთხოვა და გამოართვა 7000 აშშ დოლარი.

გამოძიება დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს და სასჯელის სახით 7-დან 11 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ აცხადებს

ა უ ქ ც ი ო ნ ს

მის ბალანსზე რიცხული, ქვესადგური „წნორი-110“-ს კუთვნილი ტერიტორიის ნაწილისა (ფართით: 12 კვ.მ.) და ამავე ტერიტორიაზე მდგარი განათების ანძაზე 2 კვ.მ. ფართის იჯარით გაცემის მიზნით.

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ინტერნეტ გვერდზე: www.gse.com.ge და ასევე, www.eauction.ge

საკონტაქტო პირი: გიორგი ოდიშვილი

ტელეფონი: ქალაქის — 2-510-281, მობილურის 577 240-233.

◎ მილოცვა

მრავალჟამიერ, ქალბატონო ლალა!

ონის რაიონში ცნობილი და სახელოვანია დუშუაშვილების გვარი. თანამედროვენი დღესაც სიყვარულით იხსენებენ ცნობილ მსახიობსა და სახელმწიფო მოღვაწე ნესტორ დუშუაშვილს, მის სათნო მეუღლეს, თაობათა აღმზრდელ ქალბატონს მაყვალა ჯაფარიძეს. ვინ იცის, პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალულ ცოლ-ქმარს რამდენი კარგი საქმე გაუკეთებია როგორც მეზობლების, ისე მთელი საქართველოს საკეთილდღეოდ. ამიტომაც არც არის გასაკვირი, რომ მათს ოჯახში აღზრდილი თინათინ და ნათელა დუშუაშვილები, გულისხმიერებითა და სიკეთით გამორჩეული პიროვნებები, სიყვარულს იმკიდნენ სიყვარულის წილ.

თავად ვარ ამის მნახველი, პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში (მერე სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიურ უნივერსიტეტში) მუშაობისას, ქალბატონი თინათინი, რომელსაც მეგობრები და ახლობლები სიყვარულით ლალას ეძახიან, როგორი სითბოთი და სიყვარულით იყო გარემოცული. კოლეგები რჩევა-დარიგებებისთვის მიმართავდნენ მას, უფრო ხშირად კი დახმარებას სთხოვდნენ სხვადასხვა საკითხზე და ქალბატონი ლალაც მზად იყო, ნებისმიერ მათგანს გვერდით დადგომოდა როგორც ახლობელი და ოჯახის წევრი. მეც ბევრჯერ მახსოვს მისი სიკეთე.

თავისი საქმის დიდი პროფესიონალი სანიმუშო მეუღლე და დიასახლისი გახლავთ. მან ბატონ შოთა პლატონიშვილთან ერთად თბილი და სტუმართმოყვარე რაჭული კერა შექმნა. რაც მთავარია, ქვეყანას აღუზარდა ალალ-მართალი, პატიოსანი და სამშობლოსათვის გულანთებული ვაჟკაცი, ნიჭიერი ჟურნალისტი, სიკეთით და კეთილშობილებით გამორჩეული, ჩვენთვის, ყველასთვის, საყვარელი გია-გიორგი პლატონიშვილი.

მართალია, ქალბატონ ლალას მეუღლე ნაადრევად გარდაეცვალა, მაგრამ გიორგისთვის უმამობა არ უგრძნობინებია — მუხლჩაუხრელად ეწევა ცხოვრების მძიმე ჯაპანს.

დღეს ქალბატონი ლალა იუბილარია. გულისხმიერ ადამიანს, სიყვარულითა და სიკეთით სავსე პიროვნებას, დედას და ოჯახის ბურჯს ვულოცავ დაბადების დღეს, დიდხანს სიცოცხლეს და ჯანის სიმრთელეს ვუსურვებ გულით საყვარელი ადამიანების გასახარებლად!

მრავალჟამიერ, ქალბატონო ლალა!

ვაჟა დანელია

◎ უსიტყვოდ



ყურადღება!

2016 წლის 24 ივნისს, 15 საათზე გაიმართება საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის მორიგი სხდომა მიძღვნილი გამოჩენილი მეცნიერ-ეკონომისტისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებლისა და პირველი პრეზიდენტის, აკადემიკოს **ალექსანდრე კუჭუხიძის დაბადებიდან 95-ე წლისთავისადმი.**

სხდომაზე მოხსენებით გამოვა ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ქ. თბილისის საპატიო მოქალაქე, აკადემიკოსი

თეიმურაზ ბაბუნაშვილი

თემაზე: **„აკადემიკოს ალექსანდრე კუჭუხიძის ცხოვრება და მოღვაწეობა“.**

სხდომა გაიმართება საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური საბაკალავრო კოლეჯის საკონფერენციო დარბაზში (ალ. ყაზბეგის 47, VI სართული).

დასწრება თავისუფალია.

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი

სასიფათო მობილურები

ამერიკელმა მეცნიერებმა სენსაციური განცხადება გააკეთეს: ვირთაგვებზე ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგად მათ დასკვნა გამოიტანეს, რომ მობილური ტელეფონის გამოსხივებას კიბოს გამოწვევა შეუძლია.

ესაა ამერიკის შეერთებული შტატების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან დაკავშირებული სტრუქტურების ოფიციალური ინფორმაცია, ამდენად, მას სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს.

აღმოჩნდა, რომ **ელექტრომაგნიტური გამოსხივება (ემგ), რომელსაც მობილური ტელეფონის გამოსხივების მსგავსი მახასიათებლები აქვს, ვირთაგვებში გულისა და ტვინის სიმსივნეებს იწვევდა.** ამით, არსებითად, გადადგმულია მეორე ნაბიჯი იმის ოფიციალურად აღიარების გზაზე, რომ **მობილურ ტელეფონებს კანცეროგენური ზემოქმედება აქვთ.**

აქამდე ეს, თამბაქოს მოწევის მსგავსად, სამნაბიჯიან გზად იყო მიჩნეული. **პირველი ნაბიჯია მობილურ ტელეფონსა და თავის ტვინის სიმსივნეებს შორის სტატისტიკური მდგომარეობის დადგენა.** ამ გამოკვლევათა საფუძველზე კიბოს კვლევათა საერთაშორისო სააგენტომ 2011 წელს ფიჭური ტელეფონების ელექტრომაგნიტური გამოსხივება „ადამიანისთვის შესაძლო კანცეროგენური საფრთხის“ მატარებლად აღიარა. **მეორე ნაბიჯია ექსპერიმენტში კანცეროგენური ეფექტის გამოვლენა,** რაც, არსებითად, მოხდა კიდეც.

როგორც ჩანს, ამჟამად იწყება მობილური ტელეფონების გამოსხივებისთვის კანცეროგენობის უფრო მაღალი სტატუსის მინიჭების პროცედურა, რომელსაც **მესამე ნაბიჯი — მისი ჭეშმარიტად კანცეროგენად აღიარება მოჰყება.** ამისათვის კი საჭიროა ელექტრომაგნიტური გამოსხივების მოქმედების ბუნების გაგება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მის შესასწავლად ახლავე ყველა ძალის მიმართვაა საჭირო.

ეს პრობლემა უაღრესად მნიშვნელოვანია საქართველოსთვისაც, ვინაიდან ჩვენში, არსებითად, ყველანი — დიდიან-პატარიანად — ერთიანად მობილურ ტელეფონებს ვიყენებთ, ამიტომაც მათი ელექტრომაგნიტური გამოსხივების შესახებ ჭეშმარიტი მონაცემების მოპოვება ერის ჯანმრთელობის დაცვაზე ზრუნვაა.

დალი ხუნდაძე

რედაქცია მაჩაბლის ქ. №7.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
293-37-87, 599 797679

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
293-37-87
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გამოიწერეთ:
6 თვით — 60 ლარი,
1 წლით — 120 ლარი.
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია — 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ — 2143906; „ელვასერვისი“ — 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ — 2 988 990; „პრესა-2012“ — 2341140; „ოლიმპი“ — 599 15 19 69; „პრესა+“ — 551555444; „ჯეომედია“ — 593 977 888.

ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.

ხელმოწერის ინდექსი
66434

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.179; ევრო - 2.451;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.109;
100 რუბლი - 3.336; თურქული ლირა - 0.742;
აზერბაიჯანული მანათი - 1.427;
1000 სომხური დრამი - 5.564

ამინდი 22 ივნისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +13,	დღე +32
მთიანი რაიონები -	ღამე +8,	დღე +28
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +18,	დღე +34
მთიანი რაიონები -	ღამე +12,	დღე +32
თბილისი:	ღამე +16,	დღე +31

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-37-87, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE